

მოსწავლეთა მოტივაციის
შემცირების გამომწვევი მიზეზები
და გაუმჯობესების გზები მე-9
კლასში ქიმიის გაკვეთილზე

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

ია ლაპიაშვილი

სარჩევი

I. შესავალი	2
II. საკვლევი საკითხის მიმოხილვა და კვლევის მიზანი	3
III. ლიტერატურის მიმოხილვა	5
III.1. მოტივაცია კლასში: მოტივაციის თეორიები	5
III.2. თეორიების აპლიკაციის მცდელობა	12
III.3. მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის მიზეზები და გადაჭრის გზები მოტივაციის ასამაღლებლად	16
III.4 სწავლის მოტივაციის ხელშეწყობი ფაქტორები	18
IV. საკვლევი საკითხის შესწავლა და კვლევის მეთოდოლოგია	23
V. კვლევის შედეგები-მონაცემთა ანალიზი	25
VI. ინტერვენციები	31
VII. ინტერვენციების განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემები	33
VIII. ინტერვენციების შეფასება	33
IX. პრაქტიკული კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები	35
X. დასკვნა	37
პრაქტიკული კვლევის ჩატარების გრაფიკი	38
ბიბლიოგრაფია	39
დანართები	40
რეზიუმე	45

I. შესავალი

წინამდებარე კვლევის ანგარიში ასახავს ჩემ მიერ განხორციელებული პრაქტიკის კვლევას, რომელიც ჩავატარე სსიპ ქალაქ დედოფლისწყაროს მე-2 საჯარო სკოლაში. ნაშრომში განხილულია აღნიშნული სკოლის მე-9 კლასში ქიმიის გაკვეთილებზე სწავლის მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები და ამ პრობლემების გადასაჭრელად დაგეგმილი და პრაქტიკულად განხორციელებული ცვლილებები.

მოტივაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსწავლის მიღწევებს. სწორედ მე-9 კლასის მოსწავლეების დაბალმა ჩართულობამ საგაკვეთილო პროცესში, რაც პირდაპირ აისახება მათი ცოდნის დონეზე, გადამაწყვეტინა კვლევის ჩატარება, რათა მომეხდინა არსებული პრობლემის იდენტიფიცირება და დამესახა გზები მათი გამომწვევი მიზეზების შემცირებისთვის. მოტივირებული მოსწავლე ხომ წარმატებული გაკვეთილის ჩატარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი ფაქტორია.

მოტივაცია ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოკვლეული ფაქტორია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში. მრავალი თეორია ცდილობს, ახსნას მოტივაციის გამომწვევი მიზეზები და გააანალიზოს ის სხვადასხვა ფაქტორთან მიმართებაში. მოტივაციის გამომწვევი ერთი მიზეზის დადგენის შეუძლებლობა ადამიანთა ბუნების მრავალგვარობაშია. კლასში მოსწავლეები სოციალური და კულტურული კონტექსტით, გამოცდილებებით, რწმენით, საჭიროებებით, უნარებით განსხვავდებიან. ეს კი განსაზღვრავს იმ ფაქტორების მრავალსახეობას, რაც მათი მოტივაციის ამაღლებაზე მოქმედებს. მრავალი კვლევით დადასტურებულია, რომ მხოლოდ მაღალი მოტივაციის პირობებშია შესაძლებელი მოსწავლის მიერ მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევა. შესაბამისად, კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს ის, რაც მოსწავლეს სწავლის მოტივაციას გაუჩენს. უამრავი დისციპლინათშორისი თეორია ცდილობს, ახსნას ის ფაქტორები, რომლებიც მოტივაციის ზრდას იწვევს. აქ რამდენიმე მათგანს შევხებით.

მიზნის განსახორციელებლად შევიმუშავე და ჩამოვაყალიბე შესაბამისი საკვლევი საკითხები: პრაქტიკის და პრობლემის გაანალიზება, მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებებისა და პოტენციალის შესწავლა, კლასში შემსვლელი სხვა მასწავლებლების გამოცდილების შესწავლა და კვლევის შედეგების განზოგადება.

პრაქტიკული კვლევის ანალიზი მოიცავს შესავალს, საკვლევი საკითხის მიმოხილვას, მეთოდოლოგიას, ინტერვენციების აღწერას, კვლევის შედეგებს, დასკვნებს და რეკომენდაციებს.

მადლობა მინდა გადავუხადო კვლევის ფარგლებში ჩართულ სკოლის პედაგოგებს, სკოლის ადმინისტრაციას, კლასის დამრიგებელს.

მათი კვლევაში მონაწილეობა და შეფასებები მნიშვნელოვანი იყო კვლევის შედეგებისთვის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისთვის.

II. საკვლევი საკითხის მიმოხილვა და კვლევის მიზანი

სამოქმედო კვლევის დაწყებამდე შევეცადე, დამეკონკრეტებინა ის ძირითადი კითხვები, რომლებიც დამეხმარებოდა იმის დადგენაში, თუ რამდენად გამომდინარეობდა აღნიშნული კვლევა ჩემი პრაქტიკული საჭიროებებიდან და შევძლებდი თუ არა მის განხორციელებას. ეს კითხვებია:

- რაში მდგომარეობს პრობლემა?
- რა არის ჩემი კვლევის მიზანი?
- ვინ არის ჩემი სამიზნე ჯგუფი და სად განვახორციელებ კვლევას?
- რა ვადაში შევძლებ კვლევის განხორციელებას?
- რას გავაუმჯობესებ ჩატარებული კვლევის საფუძველზე?
- რამდენად გამოყენებადი იქნება განხორციელებული კვლევა კოლეგებისთვის?
- კვლევის საფუძველზე რა სასურველ შედეგზე გავალ სამიზნე ჯგუფთან და როგორ ამაღლდება მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა მე-9 კლასში?

წარმოგიდგენთ სამიზნე ჯგუფის მოკლე აღწერას. მე-9 კლასს ვასწავლი 2017 წლიდან. კლასში 23 მოსწავლეა, რომელთა უმრავლესობა სხვადასხვა შესაძლებლობისაა. სამი მოსწავლე გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით და უნარებით, ხუთი-საშუალოზე დაბალი, ხოლო თხუთმეტი- დაბალი აკადემიური მოსწრებით. კლასში არა არის არცერთი სსსმ მოსწავლე. გაკვეთილებზე უჭირთ საკუთარი ქცევის მართვა და კონცენტრირება სხვადასხვა აქტივობების დროს, ხელს უშლიან ერთმანეთს, ხშირად მეთხოვებიან. მოსწავლეები (გარდა რამდენიმე მოსწავლის) გაკვეთილისთვის ძირითადად მოუმზადებლები მოდიან, არ ასრულებენ საშინაო დავალებას, ხშირად ავიწყდებათ სასწავლო ნივთები. მათ არ გააჩნიათ სწავლისადმი არც შინაგანი და არც გარეგანი მოტივაცია. არ აქვთ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა და თავდაჯერებულობა.

საკვლევი საკითხის შერჩევა განაპირობა მისმა აქტუალობამ. მოტივაცია არის კონკრეტული მიმართულებით ქცევის/ქცევების განხორციელების სურვილი, ინტერესი. მას ხშირად მამოძრავებელ ძალას უწოდებენ, რომელიც უბიძგებს ადამიანს გადალახოს წინააღმდეგობები და მიაღწიოს სასურველ მიზანს.

მოტივაციის გარეშე ძნელი წარმოსადგენია, სწავლების პროცესს სასურველი შედეგი ჰქონდეს და სწავლა სასურველ საქმიანობად იქცეს. მოსწავლის მოტივირებაზე დიდადაა დამოკიდებული პედაგოგის მოტივაციაც, მძიმე და გულდასწყვეტია, როცა მასწავლებელი მაქსიმალურად მონდომებულია, მაგრამ ამჩნევს, მოსწავლე უინტერესო გამომეტყველებით რა ხშირად დასცქერის გაკვეთილზე საათს. თანამედროვე ეროვნული სასწავლო გეგმის შემოღების შემდეგ მოლოდინი იყო, რომ ეს პრობლემა უნდა მოგვარებულიყო, რადგან სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული გახდა, გადახალისდა და დაფინანსდა სწავლების მეთოდოლოგია, სასწავლო პროცესის ცენტრში მოსწავლე მოექცა თავისი უნარებითა და შესაძლებლობებით.

თავი III. ძირითადი მეთოდოლოგიური ორიენტირები

მუხლი 10. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა

ა) ყველა მოსწავლე არის უნიკალური ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას სწავლა-სწავლების დროს.

ბ) სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

მუხლი 12. მოსწავლის მოტივაციის გაზრდა.

სკოლა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის მოტივაციის გაზრდაზე. მოსწავლე უნდა ხედავდეს დავალების მიზანს, მის საჭიროებას, კავშირს სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის.

ჩემი აზრით პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები იყო მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მოსწავლეთა სოციალური ფონი, განსხვავებული ინტერესები და შესაძლებლობები, საგნის და დავალებების სირთულე, ერთფეროვანი სახელმძღვანელო, მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში მასწავლებლის არასაკმარისი ძალისხმევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე 2019 სასწავლო წლისთვის დავიწყე მზადება სამოქმედო კვლევისთვის. ჩამოვაყალიბე პრობლემა და მიზანი, შევარჩიე საკვლევი საკითხი, თუ როგორ ავამაღლო მოსწავლეთა მოტივაცია მე-9 კლასში ქიმიის გაკვეთილებზე და როგორ გავზარდო ამ მეთოდის ეფექტიანობა სასწავლო პროცესში ახალი 2019-2020 სასწავლო წლიდან. დავსახე ამოცანები, გავეცანი შესაბამის ლიტერატურას და შევადგინე სამოქმედო გეგმა.

შესაბამისად განვსაზღვრე კვლევის მიზანი: განვსაზღვრო მეცხრეკლასელთა დაბალი მოტივაციის გამომწვევი მიზეზები ქიმიის გაკვეთილებზე და ვიპოვო ამ პრობლემის გადაჭრის გზები .

კვლევის ჩატარებისას დაცული იქნა კვლევის ეთიკა, რაც გულისხმობს: 1. ჩვენ მიერ განხორციელებული ინტერვენციები კვლევის პროცესში ჩართული სამიზნე ჯგუფისთვის არ შეიცავდა არანაირ რისკს. 2. კვლევაში ჩართული მოსწავლეები და მათი მშობლები ინფორმირებულები იყვნენ ჩვენი მიზნებისა და საქმიანობის შესახებ. 3. კვლევის ფარგლებში მოპოვებული პირადი მონაცემები მოსწავლეების იქნება მხოლოდ ზოგადი დასკვნების ფორმატში გაანალიზებული და არ დაექვემდებარება ინდივიდუალურ გამოქვეყნებას.

III. ლიტერატურის მიმოხილვა

წარმოგიდგენთ ლიტერატურის მიმოხილვას, რომელშიც გაანალიზებულია მსგავს საკითხთან და პრობლემასთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილება.

III.1. მოტივაცია კლასში: მოტივაციის თეორიები

მოსწავლეთა მოტივირება რომ ერთ-ერთი კრიტიკული საკითხია პედაგოგიკაში, ამაზე მრავალი პედაგოგი თანხმდება. მოსწავლეები კოგნიტურად, ემოციურად თუ ქცევით ჩართულნი უნდა იყვნენ პროდუქტიულ საკლასო აქტივობებში.

შუშანა ტარიელაძის სტატიაში „როგორ ავამაღლოთ მოსწავლეებში სწავლის მოტივაცია“ სწავლა-სწავლების სტილი და მოსწავლესთან ურთიერთობის ფორმები მჭიდროდ უკავშირდება მოსწავლეთა მოტივაციის ასპექტებს. „მოტივაცია“ ლათინური სიტყვაა და მოძრაობას ნიშნავს. რაც უფრო ნათლადაა მიზანი ჩამოყალიბებული, მით უფრო ადვილია საკუთარი თავის ამოძრავება, შინაგანი ბარიერების გადალახვა და ზოგადად მიზნის მიღწევა.

უფრო რთულია სიტუაცია, როდესაც სხვების მოტივირება გვსურს, სხვისი მოტივირება ნიშნავს, უბიძგო მას, შეცვალოს ძველი ქცევა ახლით. მოტივის არსებობა

ნიშნავს იმის არსებობას, რაც ადამიანებს ამოძრავებთ. მოტივი მოდის რაღაცის დეფიციტიდან. თითოეული მოტივი ავტომატურადაა დაკავშირებული გარკვეულ მიზანთან, რომლისკენაც იგი გვიბიძგებს. რაც უფრო ძლიერია მოტივი, მით უფრო ძლიერ გვიბიძგებს იგი მიზნის მიღწევისკენ. (ახალი განათლება. 13-19.12.2018 :7)

ცვატა ბერძენიშვილის სტატიაში „ მოტივაცია კლასში: მოტივაციის თეორიები“, ფსიქოლოგები, რომლებიც მოტივაციას სწავლობენ, აქცენტს ხუთ ძირითად საკითხზე სვამენ:

1. როგორ არჩევანს აკეთებენ ადამიანები საკუთარ ქცევასთან დაკავშირებით? რატომაა, რომ, მაგალითად ერთი მოსწავლე გულმოდგინედ ასრულებს დავალებას, მეორე კი ტელევიზორის ყურებას არჩევს?
2. რა დრო უნდა გავიდეს რომ მოტივაცია ამოქმედდეს? რატომ იწყებს ზოგი მოსწავლე დავალების შესრულებას მაშინვე, ზოგი კი დროს ფლანგავს?
3. რა ხარისხით ან ინტენსივობით არის ადამიანი ჩართული არჩეულ ქცევაში? ყურადღებით ასრულებს მოსწავლე დავალებას თუ მექანიკურად?
4. რა აიძულებს ინდივიდს იყოს შეუპოვარი ან ადვილად დანებდეს? მაგალითად, რას იზამს მოსწავლე, მთლიანად წაიკითხავს შექსპირის ნაწარმოებს თუ მხოლოდ მის რამდენიმე გვერდს?
5. რა გრძნობები აქვს და რაზე ფიქრობს ინდივიდი, როცა ქცევას ახორციელებს? მაგალითად, მოსწავლე სიამოვნებას იღებს შექსპირის კითხვით თუ მოსალოდნელ გამოცდაზე ნერვიულობს?

მოტივირებული ადამიანი თავდაუზოგავად მიიწევს მიზნისკენ. რა წარმართავს ქცევას და რა ანიჭებს მას ამ ენერგიას? ამის ახსნა უნდა ვეძიოთ მოთხოვნილებებში, სტიმულებში, შიშებში, მიზნებში, სოციალურ ზეწოლაში, თვითრწმენაში. ინტერესებში, მოლოდინებში და ა. შ.

ზოგიერთი ფსიქოლოგი მოტივაციას პიროვნული ნიშან-თვისებების ტერმინებით ხსნის. ზოგიერთ ადამიანს მიღწევის მაღალი მოთხოვნილება აქვს, ემინია გამოგდების, აინტერესებს ხელოვნება, ამდენად, ისინი ბევრს მუშაობენ, რომ მეტს მიაღწიონ, თავს არიდებენ გამოცდებს და საათობით ათვალიერებენ გამოფენებს. სხვა ფსიქოლოგები მოტივაციას განიხილავენ როგორც მდგომარეობას, დროებით სიტუაციას. რა თქმა უნდა, მოტივაცია, რომელიც ჩვენ გვაქვს დროის ნებისმიერ მოცემულ მონაკვეთში, ნიშან-თვისებებისა და მდგომარეობის ერთგვარი კომბინაციაა. თქვენ შეიძლება სწავლობდეთ იმიტომ რომ სწავლა თქვენთვის დიდი ღირებულებაა და იმიტომაც, რომ გამოცდისთვის ემზადებით.

როგორც ხედავთ, მოტივაციას ზოგიერთ შემთხვევაში განსაზღვრავს შინაგანი, პიროვნული ფაქტორები, როგორებიცაა მოთხოვნილებები, ინტერესები, ცნობისმოყვარეობა და სხვა, ზოგიერთ შემთხვევაში კი გარე ფაქტორები- ჯილდო, სოციალური ზეწოლა, დასჯა და ა.შ. მოტივაციის კლასიკური დაყოფა ასეთია: შინაგანი და გარეგანი მოტივაცია. (ჟურნალი „მასწავლებელი“ N 6 2015 :39)

შუშანა ტარიელაძეს სტატიაში „როგორ ავამაღლოთ მოსწავლეებში სწავლის მოტივაცია“ შინაგანი მოტივაცია ეფუძნება მოსწავლის პერსონალურ ინტერესებსა და მისწრაფებებს, წარმოიშობა სურვილით, გაუზიარო შენი სამუშაო მეგობრებს, თანაკლასელებს, სკოლას, ოჯახს. შინაგანი მოტივაცია უფრო ხანგრძლივი და მართვადია.

გარეგანი მოტივაცია- ნიშნებისა და ჯილდოების მიღების სურვილი, სამუშაოების შესრულება დასჯის თავიდან აცილების მიზნით. (ახალი განათლება. 13-19.12.2018 :7)

ცვატა ბერძენიშვილის სტატიაში „ მოტივაცია კლასში: მოტივაციის თეორიები“, ფსიქოლოგები, რომლებიც იზიარებენ მოტივაციის შინაგანად და გარეგანად დაყოფის კონცეფციას, ამბობენ, რომ ერთი შეხედვით, შეუძლებელია განვსაზღვროთ, მოტივაცია შინაგანია თუ გარეგანი. ინდივიდი შეიძლება იმიტომ კითხულობდეს, ცურავდეს ან ხატავდეს, რომ მან ქცევის თავისუფალი არჩევანი პიროვნული ინტერესების გათვალისწინებით გააკეთა(შინაგანი მოტივაცია), ან ასე იმიტომ იქცევა, რომ გარედან, ვიღაცის ან რაღაცის გავლენას განიცდის(გარეგანი მოტივაცია).

სწავლებლამ შეიძლება შექმნას შინაგანი მოტივაცია მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და კომპეტენტურობის მნიშვნელობის ხაზგასმით. თუმცა ისიც ვიცით რომ ეს ყოველთვის ვერ იმუშავებს. არის სიტუაციები, როცა წამახალისებელი სტიმულები და მხარდაჭერა აუცილებელია. მასწავლებლებმა უნდა იზრუნონ შინაგანი მოტივაციის გაჩენასა და შენარჩუნებაზე, როცა დარწმუნდებიან, რომ გარეგანი მოტივაციაც მუშაობს და ჩართულია სწავლის პროცესში.

მოტივაცია საკმაოდ ფართო კომპლექსური საკითხია და მრავალ თეორიას მოიცავს.

მასწავლებლები კარგად უნდა იცნობდნენ მოტივაციის თეორიას, რათა სწავლების პროცესი ეფექტიანად წარმართონ და მშობლებს ის სტრატეგიები გააცნონ, რომელთა განხორციელება მათი შვილების მოტივაციას გაზრდის (ვაისი და სხვები 2010)

- **ბიჰევიორისტული მიდგომა**

ბიჰევიორისტული მიდგომის მიხედვით, მოსწავლის მოტივაციის გაგება უნდა დავიწყოთ წამახალისებელი სტიმულებისა და ჯილდოების დაკვირვებული ანალიზით. ჯილდო ის მიმზიდველი ობიექტი ან მოვლენაა, რომელიც შედეგად მოსდევს გარკვეულ ქცევას. იმპულსი ის ობიექტები ან მოვლენებია, რომლებიც აღძრავს ან, პირიქით, ახშობს ქცევას. მაგალითად, დამატებითი ქულების დაპირება წამახალისებელი სტიმული შეიძლება აღმოჩნდეს მოსწავლისთვის.

თუ ჩვენ მუდმივად წაგვახალისებენ გარკვეული ქცევის გამო, ჩვენ განგვივითარდება გარკვეული ჩვევა ან ტენდენცია, განვახორციელოთ ხოლმე გარკვეული ტიპის ქცევა.

კარგი ნიშნები, ვარსკვლავები, სტიკერები და სხვა საშუალებები განმტკიცებისათვის ან გარკვეული დამსჯელი ღონისძიებები ცუდი საქციელისათვის-ეს ყველაფერი არის მცდელობა მოსწავლეთა მოტივირებისათვის გარეგანი იმპულსის, ჯილდოების ან დასჯის გამოყენებით.

- **ჰუმანისტური მიდგომა**

მეოცე საუკუნის სამოციან წლებში ჰუმანისტური ფსიქოლოგიის მომხრეები, მათ შორის-კარლ როჯერსი, ამბობდნენ, რომ ფსიქოლოგიის ვერც ერთი დომინანტური სკოლა, ვერც ბიჰევიორისტული და ფროიდისეული ვერ ხსნიდა ადამიანის ქცევას. მოტივაციის ჰუმანისტური ინტერპრეტაცია ხაზს უსვამს ისეთ შინაგან წყაროებს, როგორიცაა პიროვნების „თვითაქტუალიზაციის“ მოთხოვნილება, თანდაყოლილი „აქტუალიზაციის ტენდენცია“ ან „თვითგანსაზღვრის“ მოთხოვნილება. ასე რომ ჰუმანისტურ ჭრილში მოტივირება ნიშნავს ადამიანების შინაგანი რესურსების- მათი კომპეტენტურობის, თვითშეფასების, ავტონომიისა და თვითაქტუალიზაციის- წაქეზებას. მასლოუს თეორია მოტივაციის ჰუმანისტური ახსნაა.

- **მასლოუს იერარქია**

აბრაჰამ მასლოუ ვარაუდობდა, რომ ადამიანებს გააჩნიათ მოთხოვნილებათა იერარქია მთელი დიაპაზონით-დაბალიდან(მაგ. უსაფრთხოება) მაღალი რანგის მოთხოვნილებებამდე(თვითაქტუალიზაცია).

მასლოუ ოთხ შედარებით დაბალი რანგის მოთხოვნილებას: ფიზიოლოგიურს, უსაფრთხოების, მიკუთვნებულობისა და თვითშეფასების მოთხოვნილებებს-დეფიციტურს უწოდებდა. როდესაც ეს მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია, მათი რეალიზების მოტივაცია იკლებს. მან სამ, ზედა მაღალი რანგის მოთხოვნილებას-ინტელექტუალური მიღწევების, ესთეტიკურ და თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებებს ზრდის მოთხოვნილებები უწოდა. როდესაც ეს მოთხოვნილებები კმაყოფილდება, პიროვნების მოტივაცია არ იკარგება, პირიქით, იგი იზრდება და

დაკმაყოფილების მორიგი საშუალებების ძებნას იწყებს. დეფიციტური მოთხოვნილებებისგან განსხვავებით, ეს მოთხოვნილებები არასოდეს კმაყოფილდება.

მასლოუს თეორია საშუალებას გვაძლევს, მთლიანობაში აღვიქვათ მოსწავლე, რომლის ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური მოთხოვნილებები ურთიერთქმედებაშია ერთმანეთთან. ბავშვი, რომლის უსაფრთხოებისა და მიკუთვნებულობის განცდას საფრთხე მშობლების გაყრის გამო ექმნება, ნაკლებ ინტერესს გამოამჟღავნებს წილადების გაყოფის სწავლაში. თუ სკოლა საშიშ, არაპროგნოზირებად ტერიტორიაზე იმყოფება, იქ უფრო მეტი ყურადღება უსაფრთხოებას მიექცევა, ვიდრე სწავლას ან სწავლებას. სოციალურ ჯგუფთან მიკუთვნებულობა და ამ ჯგუფის შიგნით თვითშეფასების განმტკიცება მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის. თუ იმის გაკეთება, რასაც მასწავლებელი მოსწავლისგან ითხოვს, ეწინააღმდეგება ამ ჯგუფის დადგენილ წესებს, მაშინ მოსალოდნელია, რომ მოსწავლე ყურად არ იღებს მასწავლებლის სურვილს და შეიძლება დაუპირისპირდეს კიდეც.

- **კოგნიტური და სოციალურ-კოგნიტური მიდგომა**

კოგნიტურ თეორიებში ადამიანი განხილულია როგორც ცნობისმოყვარე, აქტიური, ინფორმაციის მაძიებელი არსება, რომელიც ცდილობს გადაჭრას პიროვნული პრობლემები. ამდენად, კოგნიტური თეორეტიკოსები აქცენტს შინაგან მოტივაციაზე სვამენ.

კოგნიტივისტებს სჯერათ, რომ ჩვენი ქცევა აზროვნებით არის განპირობებული და არა უბრალოდ იმით, რომ წარსულში ამასთან დაკავშირებით დაგვაჯილდოვებს ან დაგვსაჯეს. ქცევა წამოწყებული რეგულირებულია გეგმების, მიზნების, სქემების, მოლოდინებისა და ატრიბუციების მიერ.

მოტივაციისადმი სოციოკულტურული შეხედულება ხაზს უსვამს ერთობის წევრობას. ადამიანები ერთვებიან აქტივობაში, რათა განამტკიცონ თავიანთი იდენტობა და ინტერპერსონალური ურთიერთობები ამ ჯგუფის შიგნით. ამდენად მოსწავლეები მოტივირებული არიან ისწავლონ, თუ ისინი არიან წევრები იმ საკლასო ან სასკოლო ჯგუფისა, რომლისთვისაც სწავლას დიდი ღირებულება აქვს. (ჟურნალი „მასწავლებელი“ N 6 2015 :39)

ალბერტ ბანდურას თეორიის მიხედვით, მოტივაციაში მთავარი ისაა, რომ მოქმედება უშუალო განმტკიცების გარეშე ხორციელდება. ადამიანს შეუძლია მომავალი წარმატების თუ წარუმატებლობის წინასწარმეტყველება და სათანადო ქცევის განხორციელება. ბანდურას აზრით, ადამიანის ფუნქციონირებას არ განსაზღვრავს მხოლოდ გარეგანი ფაქტორები და არც მხოლოდ შინაგანი. ადამიანის ფუნქციონირებას განსაზღვრავს პიროვნული ფაქტორები, გარემო და ქცევა, მათი

ურთიერთდამოკიდებულება.(განვითარების თეორიები მასწავლებლისათვის. გიორგი ლაცაბიძე. 2008 : 28)

დიმიტრი უზნაძე თავის განწყობის თეორიაში აღნიშნავს, რომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აღზრდის პროცესში განწყობას. მისი აზრით განწყობა ადამიანის მთლიანპიროვნული მზაობაა გარკვეული ქცევისადმი.

ქცევა არის ცოცხალი არსების, სუბიექტის გარემოსთან ურთიერთმოქმედების ფორმა.

ქცევა განისაზღვრება მოთხოვნილებით და იმ საგნით, სიტუაციით, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. ცოცხალი ორგანიზმი გარკვეული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიმართავს გარე საგნობრივ სინამდვილეს. გარემო უშუალოდ მოქმედებს მასზე და იმ საგნის შესატყვის მოქმედებისკენ განაწყობს, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. მოთხოვნილების და სიტუაციის შეხვედრის შედეგად ადამიანს უჩნდება განწყობა. გარემოს მასწავლებელი ცვლის ახალ-ახალი სტიმულებით, რაც განსაზღვრავს განვითარების პროცესს.

სწავლებასა და განვითარებას შორის ურთიერთდამოკიდებულებაში უზნაძე გამოყოფს ორ პერიოდს: 1. კონკრეტული წარმოდგენები და თვალსაჩინო მასალით აზროვნება. 2. აბსტრაქტული ცნებითი აზროვნება.

სასწავლო პროცესი მასწავლებლის მიერ ისე უნდა წარიმართოს, რომ მოხდეს ბავშვის შესაძლებლობების და სასწავლო მასალის თანხვედრა. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის დამახასიათებელი ინტელექტუალური მოთხოვნილება ე.წ. სწავლის წყურვილში გადაეზარდოს.

ბავშვის განვითარება ქცევის პროცესში ხდება. უზნაძე ქცევის ორ კატეგორიას გამოყოფს- ექსტროგენული და ინტროგენული. ექსტროგენული ქცევა წარიმართება გარედან საგნისგან მიღებული იმპულსის შედეგად, ინტროგენული ქცევა თავისუფალია გარე იმპულსებისგან და ის ორგანიზმის შიგნით წარმოიშობა.

სწავლა მოიცავს როგორც ექსტროგენულ, ისე ინტროგენულ ქცევის ფორმის ელემენტებს.(განვითარების თეორიები მასწავლებლისათვის. გიორგი ლაცაბიძე. 2008 : 65).

როგორც მოტივაციისადმი სხვადასხვა მიდგომების განხილვიდან ჩანს, მოტივაციის წყაროები მრავალფეროვანია და თვითოეული მათგანი გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და მათ წარმატებაში. ამისთვის აუცილებელი მოტივაციის პრინციპების გააზრება სასწავლო პროგრამების შედგენისას, ასევე უშუალოდ სასწავლო პროცესში მათი გათვალისწინება. ეს საშუალებას მოგვცემს, მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ საჭიროებებზე დაყრდნობით შევქმნათ ეფექტური და

შემოქმედებითი სასწავლო გარემო და უზრუნველყოთ სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის აქტიური და ხალისიანი ჩართულობა.

- **ატრიბუციის თეორია**

ატრიბუციის თეორია ყურადღებას ამახვილებს იმ წარმოდგენებზე, რომლებიც ადამიანებს მაშინ უჩნდებათ, როცა ამა თუ იმ მოვლენას, შედეგს რაიმე კონკრეტულ ფენომენს უკავშირებენ. მაგალითად, გამოცდის ჩაბარება დაკავშირებულია გამართლებასთან, მოსწავლის დაბალი აკადემიური მიღწევები – სიზარმაცესთან... როდესაც ერთი მოსწავლე მეორე მოსწავლის მაღალ აკადემიურ მოსწრებას მის დიდ მცდელობას უკავშირებს, შესაძლოა, ამან მის მოტივაციაზე დადებითად იმოქმედოს. ყველა შემთხვევაში, ეს მოსწავლეებში აღძრავს გარკვეულ ემოციას, რამაც შესაძლოა იმოქმედოს მათ მოტივაციაზე. აკადემიურ კონტექსტში მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სწორად წარმართოს მოსწავლის ემოცია, მისი მიღწევა დაუკავშიროს არა ილბალს, არამედ მცდელობას, დაბალი აკადემიური მიღწევა კი კონკრეტული უნარების უქონლობით არ ახსნას.

- **მოლოდინების თეორია**

მოცემული თეორიის მიხედვით, წარმატების მიღწევის მოტივაციას, დიდწილად, საზოგადოების მხრიდან წარმატების მოლოდინი განსაზღვრავს. სასწავლო პროცესში ის მოსწავლეები, რომელთა მიმართაც არსებობს მაღალი აკადემიური მიღწევების მოლოდინი, ძირითადად, აღწევენ კიდევ წარმატებას, იმ მოსწავლეებთან შედარებით, ვის მიმართაც ასეთი მოლოდინი არ არსებობს.

- **სოციალური დასწავლის თეორია და მიზნის მიღწევის თეორია**

აქ აქცენტი კეთდება ადამიანის ბუნებაზე, ისწავლოს დაკვირვებით. მთავარ კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს ის, რომ ადამიანები და გარემო ერთმანეთზე ზეგავლენას ახდენენ. მოსწავლე სწავლობს მასწავლებელზე დაკვირვებით, ასევე თანატოლებზე დაკვირვებით. მოსწავლე მოტივირებულია, თუ არტიკულირებულია კონკრეტული მიზნები, რომლებსაც მასწავლებელი მასთან შეთანხმების საფუძველზე დასახავს. ამის მიღწევა მოსწავლისა და მასწავლებლის ჯანსაღი ურთიერთობის საფუძველზეა შესაძლებელი. გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მიერ მიზნების დასახვა არ ხდება მასწავლებელთან, თანატოლებთან თუ მშობლებთან ინტერაქციის გარეშე.

- **თვით-ეფექტურობის თეორია**

ცენტრალური თემა ინდივიდის რწმენა საკუთარი ეფექტურობისა, შესაბამისად, მისი მოტივაცია დამოკიდებულია წარმატების მიღწევის შესაძლებლობის აღქმაზე. მოსწავლეებში საკუთარი შესაძლებლობების რწმენის გაჩენა შესაძლებელია ისეთი აქტივობების განხორციელებით, რომლებიც მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემების გადაჭრას და სხვა.

ამ თეორიებს აერთიანებს მასწავლებლის როლის მნიშვნელობა მოსწავლის მოტივაციის ამაღლების საკითხში. ატრიბუციის თეორია ხაზს უსვამს მასწავლებლის მხრიდან მუდმივი უკუკავშირის მიცემას, მიღწევების კონტროლს და მათ სწორ ატრიბუციას. მოლოდინების თეორია მოტივაციის ამაღლების ფაქტორად განსაზღვრავს მასწავლებლის და თანატოლების მოლოდინის მნიშვნელობას მოსწავლის აკადემიური მიღწევებისათვის. მიზნის მიღწევის თეორია ყურადღებას ამახვილებს მასწავლებლის მიერ ნათელი და არტიკულირებული მიზნების დასახვაზე, რომლის მიღწევის მოტივაციაც უჩნდება მოსწავლეს. სოციალური დასწავლის თეორიაში მოსწავლე სწავლობს მასწავლებელზე დაკვირვებით, მის მოტივაციაზე გავლენას ახდენს მასწავლებელი, როგორც მოდელი, ასევე თანატოლი და სასწავლო გარემო. მოსწავლის მოტივაცია მაღალია თუ მას საკუთარი თავის ეფექტურობის რწმენა აქვს, რომელსაც უვითარებს მასწავლებელი (ოჯახთან ერთად).

ამ და სხვა თეორიებზე დაყრდნობით, უნდა ვაღიაროთ მასწავლებლის და სასწავლო გარემოს როლი აკადემიური წარმატების მისაღწევად მოსწავლის მოტივაციის ჩამოყალიბებაში. მრავალი კვლევა უსვამს ხაზს მასწავლებლის და მოსწავლის დამოკიდებულების მნიშვნელობას საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ მასწავლებლის მხარდაჭერის განცდა, უფრო მიდრეკილნი არიან მაღალი აკადემიური მოსწრებისა და წარმატებისკენ; მოსწავლეები, რომლებსაც მოსწონთ მასწავლებელი, უფრო კარგად სწავლობენ კონკრეტულ საგანს; მოსწავლეები, რომლებიც გრძნობენ მასწავლებლის მხრიდან პატივისცემას, უფრო ჩართულნი არიან საგაკვეთილო პროცესის მსვლელობაში და სხვ.

III.2. თეორიების აპლიკაციის მცდელობა

მოტივაცია არის სტიმული, ქმედება, წახალისება, ძალა, რომელიც იწვევს მოსწავლის სურვილს, იმოქმედოს – ისწავლოს, მიაღწიოს შედეგს. ამ მიმართულებით სპეციალური ლიტერატურა განიხილავს ფაქტორთა ერთობლიობას, რაც კომპლექსურად ახდენს გავლენას მოტივაციის ამაღლებაზე. ზემოთ ნახსენები თეორიების მტკიცებულებები რამდენიმე მსხვილ ფაქტორად შეიძლება დაჯგუფდეს, სადაც თავად მოსწავლეს, მასწავლებელს, შინაარსსა და გარემოს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მოტივაციის ამაღლების საკითხში. შევხებით მოკლედ თითოეულ

მათგანს და განვსაზღვროთ იმ სტრატეგიების ნაწილი, რომლებმაც შესაძლოა მოტივაცია აუმაღლოს მოსწავლეებს.

1. მოსწავლის ფაქტორი

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მოსწავლეები სკოლაში მოდიან სხვადასხვა სოციალური თუ კულტურული კონტექსტიდან, მათ აქვთ გარკვეული გამოცდილებები, სურვილები, მოთხოვნები და მოლოდინები.

დასავლური სკოლა განასხვავებს გარეგან და შინაგან მოტივაციებს. მნიშვნელოვანია, გავიაზროთ ორივე ტიპის მოტივაციის როლი და ეფექტი.

გარეგანი მოტივაციის შემთხვევაში მოსწავლე მიმართულია წახალისების მიღებისკენ, შინაგანი მოტივაციის დროს კი წახალისების, აღიარების ფაქტორი მინიმუმამდეა დაყვანილი და ფოკუსი ცნობისმოყვარეობაზე, გამოწვევებზე, სოციალურ ინტერაქციაზეა. მაშინ, როცა სასწავლო პროცესში მოტივაციის ნაკლებობა შეიმჩნევა, აუცილებელია, განისაზღვროს ის სტრატეგიები, რომლებიც მოსწავლეს შინაგან და გარეგან მოტივაციას აღუძრავს.

მოსწავლეთა გარეგან თუ შინაგან მოტივაციაზე გავლენას ახდენს ის სოციალური გარემო, საიდანაც ისინი მოდიან, ასევე – გარემო, სადაც უწევთ ყოფნა; მაგალითად, ის თუ რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის სასწავლო მასალა, როგორ სკოლაში დადიან, ოჯახის შემოსავალი, კონკრეტულ სფეროში დასაქმების სურვილი, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თანატოლებთან ურთიერთობის ფორმა და ხარისხი. მოსწავლის მოტივაციაზე ასევე გავლენას ახდენს ის, თუ რამდენად ჩართულია საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვასა და მსვლელობაში. გრძელვადიანი საგაკვეთილო პროცესის გაცნობამ, მიზნების ნათლად დასახვამ შესაძლოა მოსწავლეებს მნიშვნელოვნად აუმაღლოს მოტივაცია დასახული მიზნის მისაღწევად.

2. მასწავლებლის ფაქტორი

მოსწავლეთა მამოტივირებელი შესაძლებელია იყოს მასწავლებლის მიერ კონკრეტული საგნის მაღალ დონეზე ფლობა. მოსწავლეს აქვს მოლოდინი, რომ საგაკვეთილო პროცესის დროს ის მოისმენს რაღაც ახალს, მიიღებს პასუხს კითხვებზე. ის უნდა ხედავდეს მასწავლებლის მოტივაციას, გადასცეს მას ახალი ცოდნა.

მოსწავლეს მოტივაციას აღუძრავს ისეთ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა, სადაც მასწავლებელი იცნობს და პატივს სცემს მას, აფასებს მის ინტერესებს. მოსწავლე სწავლობს უკეთესად, როცა მასწავლებელი მშვიდად (და არა სტრესულად)

წარმართავს სასწავლო პროცესს, იზიარებს მოსწავლეთა შეხედულებებს, არ განასხვავებს დაბალი და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს, არ მიუთითებს შეცდომებზე. საგაკვეთილო პროცესის წარმართვის დროს სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს სხვადასხვა ტექნიკა: თამაშები, სიტუაციური ანალიზი, ანეგდოტები, სადაც ჩართული იქნება თანაბრად ყველა მოსწავლე.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელს ხშირად სჭირდება მოსწავლის შეფასება, მნიშვნელოვანია, ამ პროცესმა არ გამოიწვიოს სტრესი და მოტივაციის კლება. სასურველია, შეფასება არ ეფუძნებოდეს მხოლოდ ტესტირებას და ის ატარებდეს განმავითარებელ ხასიათს. თუ მოსწავლეებს ნათლად მიეწოდებათ შეფასების მიზანი, ეცოდინებათ ის კრიტერიუმები, რომლების მიხედვითაც ფასდებათ, ისინი ნაკლებად სტრესულად აღიქვამენ ამ პროცესს. მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რომ ტესტირების დღე არ არის გადამწყვეტი მის ცხოვრებაში და შესაბამისად, მხოლოდ ამ დღეზე არ უნდა იყოს კონცენტრირებული.

მასწავლებელი მუდამ ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ყურადღების მიპყრობაზე, რაც შესაძლებელია მისი ინტერესების გათვალისწინებით, ცნობისმოყვარეობის გაღვივებით, მისი ძლიერი მხარეების გამოყენებით საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლის მოტივირებისთვის აუცილებელია ენთუზიაზმით სავსე მასწავლებელი. მოსწავლე საგაკვეთილო თემის მნიშვნელობას იზიარებს, თუ მასწავლებელი ენთუზიაზმით უდგება მის განხილვას.

მასწავლებელი-დიპლომატი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მასწავლებელი-საგნის მცოდნე. მოსწავლის მოტივირებისთვის აუცილებელია, მასწავლებელმა ააწყოს და დააბალანსოს ურთიერთობები მოსწავლეებთან. მოსწავლე, რომელიც გრძნობს მხარდაჭერას, ნდობას და დაფასებას, თავდაჯერებულია. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში მაღალი მოტივაციის ალბათობა უფრო მეტია. ხშირი უკუკავშირი, მოსწავლეებისადმი თანაბარი მიდგომა, აქცენტი მიღწევებზე, განმავითარებელი შეფასებები – ეს ის არასრული ჩამონათვალია, რასაც შეიძლება მასწავლებელმა მიმართოს. (მოტივაცია თეორიასა და პრაქტიკაში. 24 ივნისი 2014 წელი)

3. შინაარსის ფაქტორი

ექვგარეშეა, რომ საგაკვეთილო პროცესის მიმართ მოსწავლის მოტივაციას აღძრავს ის შინაარსი, რომლის მიწოდებასაც ვცდილობთ. თემა, რომელიც მას მიეწოდება, უნდა იყოს გასაგებად გადმოცემული, დროული და მისი ინტერესების შესაბამისი. მასწავლებლის უპირველესი ამოცანაა, მოახდინოს სასწავლო მასალის შინაარსისა და მოსწავლის ინტერესების თანხვედრა. მოტივაციისთვის მნიშვნელოვანია, მოსწავლეს ჰქონდეს არჩევანის შესაძლებლობა, რომელ მოსწავლესთან ერთად შეასრულოს

ჯგუფური სამუშაო, რომელი წიგნი წაიკითხოს, როგორი ფორმით წარმოადგინოს დავალება და სხვ. მოსწავლის მოტივაციაზე შესაძლოა დადებითად იმოქმედოს შინაარსთან მიმართებაში არჩევანის არსებობამ.

შემოქმედებითობის და კრიტიკული აზროვნების განვითარებისკენ მიმართული სტრატეგიები იწვევს მოსწავლის ცნობისმოყვარეობის გაღვივებას, კითხვების დასმას, კვლევას, ცხოვრებისეულ მოვლენებთან თეორიის დაკავშირებას. პრობლემები, რომლების გადაჭრაც მოსწავლეს მოეთხოვება, შესაძლოა ზოგადსაკაცობრიო საკითხებს უკავშირდებოდეს. ამ შემთხვევაში ის მეტი პასუხისმგებლობით მიუდგება კვლევას. მოსწავლეს ყოველთვის სურს, იპოვოს, ამოხსნას, შესაბამისად, მოტივაცია, მიაღწიოს დასახულ მიზანს, მაღალია.

4.სასწავლო გარემოს ფაქტორი

მიუხედავად იმისა, რომ გარემოზე საუბრისას, პირველ რიგში, სკოლის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების, სასწავლო პროცესისათვის ინფრასტრუქტურული მზაობა გვახსენდება, ამაზე აქ არ შევჩერდებით. აქცენტს უფრო საგაკვეთილო პროცესის გარემოზე გავაკეთებთ, რაშიც მასწავლებელს უდიდესი წვლილი მიუძღვის.

მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად საჭიროა წახალისება, მაგალითად, სკოლის ცხოვრებაში მისი ჩართვის გზით. მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის ის გარკვეულ პოზიციას დაიკავებს კლასისა თუ სკოლის მართვაში. მასწავლებელმა უნდა შექმნას თანამშრომლობითი, არა სტრესული გარემო, სადაც მოსწავლეები აკეთებენ ერთობლივ პროექტებს, ერთობლივად ასრულებენ დავალებებს. საგაკვეთილო პროცესში შესაძლებელია მრავლად იყოს გამოყენებული მაგალითები ყოველდღიური ცხოვრებიდან, ვინაიდან ითვლება, რომ ისტორიების ჩართვას საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ყურადღების მოზიდვა და შესაბამისად, მოტივაციის ამაღლება შეუძლია. მოსწავლე მოტივირებულია, თუ მან ზუსტად იცის, რა მოლოდინი აქვს მასწავლებელს, რა არის მისი მიზანი და შეფასების ობიექტური კრიტერიუმი. შესაბამისად, მოსწავლე მოტივირებულია, მიაღწიოს მიზანს და მიიღოს ამისათვის შედეგი.

და ბოლოს, მხარდაჭერისკენ მიმართული საგაკვეთილო გარემო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც მოსწავლის მოტივაციის ზრდას უზრუნველყოფს. მოსწავლე მუდმივად იღებს უკუკავშირს მასწავლებლისგან და მისთვის ტესტირების ან გამოცდის დღე არ არის წარმატების/წარუმატებლობის განმსაზღვრელი.

III.3. მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის მიზეზები და გადაჭრის გზები მოტივაციის ასამაღლებლად.

პედაგოგიურმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სწავლების პირველ საფეხურზე მოსწავლეთა უმეტესობა ჩართულია საგაკვეთილო პროცესში და აკადემიური მოსწრებაც მაღალია, ხოლო საბაზო საფეხურზე მათი მოტივაცია ეცემა, რთულდება მათი ინდიფერენტული დამოკიდებულების შეცვლა სასკოლო ცხოვრების მიმართ, იკლებს ჩართულობაც და შესაბამისად, დაბალია მათი აკადემიური მოსწრებაც. მოტივაციის შემსწავლელი მეცნიერი ჯონ ატკისონი თვლის, რომ ორი შეძენილი თვისება: წარმატების მიღწევა და მარცხის თავიდან აცილების სურვილი ამოდრავებს ნებისმიერ ადამიანს. წარმატების მიღწევის გამმაფრებული სურვილის მქონე ადამიანები ცდილობენ კონკურენციის გაწევას, ხოლო მარცხის თავიდან აცილების გამმაფრებული სურვილის მქონენი ყველანაირი ხერხით ცდილობენ თავიდან აიცილონ კონკურენცია (ოუენსი და ვალესკი 2010.) მოსწავლეთა მოტივაციის გამოწვევა გარდატეხის ასაკში არ არის მარტივი საქმე და პრიმიტიული ხერხებით ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია. არც რაიმე უნივერსალური მზა, მეთოდი არ არსებობს აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. მოზარდობის ასაკში მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს სასწავლო-შემოქმედებითი მოტივების განვითარებაშიც, მოტივები, რომლებსაც წამყვანი ადგილი უკავიათ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის აქტივობაში, მოზარდობის მნიშვნელოვანი აღარ არის. უმცროს მოზარდებთან წამყვანია-კლასში გარკვეული ადგილის დამკვიდრების მოტივი. მათ სურთ, მოიპოვონ თანატოლების აღიარება.

რაც შეეხება შემეცნებითი მოტივების განვითარებას, აქ შეიძლება გამოვყოთ 3 ჯგუფი-ფართე შემეცნებითი ინტერესების მქონე მოსწავლეები, ცალკეული საგნების შესწავლის ინტერესების მქონე მოსწავლეები და გაურკვეველი, ცვლადი, სიტუაციური შემეცნებითი ინტერესების მქონე მოსწავლეები.

სამწუხაროდ, მოზარდების 54%-ისთვის მნიშვნელოვანია შეფასების მიღების მოტივი და არა ცოდნის მიღების მოტივი. (ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2013 :65)

ვიხელმძღვანელებ რა სხვადასხვა ლიტერატურასა თუ სტატიებში განხილული მოტივაციის ამაღლების სტრატეგიებით, ჩამოვყალიბე ერთგვარი ჩარჩო სწავლების მოტივაციის განსავითარებლად. შუშანა ტარიელაძე თავის საგაზეთო სტატიაში „როგორ ავამაღლოთ მოსწავლეებში სწავლის მოტივაცია“, სწავლების მოტივაციას ასე განმარტავს- „ეს არის მოსწავლის ტენდენცია მოძებნოს ღირებული და მნიშვნელოვანი აკადემიური აქტივობები და ეცადოს, მიიღოს მათგან აკადემიური სარგებელი. სწავლის მოტივაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც პიროვნული ნიშანი და როგორც სიტუაციური სპეციფიკური გარემოება.“ სწავლის მოტივაცია უფრო მეტს

გულისხმობს, ვიდრე სწავლის სურვილი და მისდამი სწრაფვა. ეს არის სასწავლო აქტივობების მიზანმიმართული გამოყენება.

სასწავლო მასალის სწორი ორგანიზება ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ჩამოყალიბებას.

ნათელი და კარგად ჩამოყალიბებული მასალა ადვილად ასათვისებელია, როცა ახალი მასალა ეყრდნობა ძველს და გამომდინარეობს მისგან.

გამოვიყენოთ განსხვავებული სირთულის დავალებები/აქტივობები, წარმატების შემთხვევაში საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნდებიან.

დავეხმაროთ მოსწავლეებს იმის გაცნობიერებაში, რომ ისინი დავალებას არა ჩვენთვის, არამედ საკუთარი ცოდნის დონის ასამაღლებლად ასრულებენ.

ვაგრძნობინოთ მოსწავლეებს, რომ მათი აზრი ღირებული და მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

ზუსტად გამოვიკვლიოთ რა სჭირდებათ ჩვენს მოსწავლეებს.

უზრუნველვყოთ მოსწავლეთა აქტიურობა სწავლების პროცესში.

დავეხმაროთ მოსწავლეებს რეალური მიზნების დასახვასა და ჩამოყალიბებაში.

ვასწავლოთ მოსწავლეებს როგორ მიაღწიონ წარმატებას სწავლაში.

ნუ დავუშვებთ მწვავე კონკურენციას მოსწავლეებს შორის.

ავაგოთ სასწავლო პროცესი მოსწავლეების ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

შეძლებისდაგვარად მივცეთ მოსწავლეებს არჩევანის უფლება.

შევარჩიოთ მრავალფეროვანი მეთოდები.

მოვერიდოთ მოსწავლეთა ცუდი ნიშნებით შეშინებას.

როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური კომენტარი გავლენას ახდენს მოსწავლის მოტივაციაზე, მივაწოდოთ მოსწავლეებს დადებითი უკუკავშირი.

კონკრეტულად მივუთითოთ რა გამოუვიდა კარგად და რაში ესაჭიროება განვითარება.

მოვერიდოთ დამამცირებელ კომენტარს, არასოდეს გავაკრიტიკოთ მოსწავლე საჯაროდ, ეს ცუდად აისახება მოსწავლის განწყობაზე.

შევაქოთ მისი ნაბიჯ-ნაბიჯ წინსვლა. (ახალი განათლება. 13-19.12.2018 :7)

ჩავრთოთ მოსწავლეები ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში.

ვიყოთ მიუკერძოებელი.

ტესტირებისას გამოვიყენოთ სხვადასხვა ტიპის კითხვები.

სათანადო დრო და ყურადღება დავუთმოთ მოსწავლეების ნაშრომებს.

ჩავრთოთ მოსწავლეები საკლასო გადაწყვეტილებების მიღებაში.

ვაწარმოოთ წინადადებების ყუთი.

ინდივიდუალური მიდგომა ვიპოვოთ თითოეულ მოსწავლესთან.

მოსწავლეთა მოტივაციაზე ზრუნვა არ უნდა იფარგლებოდეს კონკრეტული საკლასო ოთახით. მამოტივირებელი გარემო უნდა იქმნებოდეს მთელი სკოლის მასშტაბით. წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებლის მიერ გამოყენებული შესაბამისი სტრატეგიები ვერ მოიტანს სასურველ შედეგს.

III.4 სწავლის მოტივაციის ხელშემწყობი ფაქტორები

პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწავლის მოტივაციას და მის განმაპირობებელ ფაქტორებს. აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად გააზრება როგორც პედაგოგის, ასევე მოსწავლის მიერ გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა მომავალ წარმატებაში.

სწავლის მოტივაცია სხვადასხვა კომპონენტისგან შედგება. განვიხილავთ რამდენიმე მნიშვნელოვან შიდაპიროვნულ ფაქტორს, რომლებიც სწავლის მოტივაციას განაპირობებს:

1. ცნობისმოყვარეობა

ადამიანი ბუნებით ცნობისმოყვარეა. ის გამუდმებით ეძებს ახალ გამოცდილებას, თავსატეხს, ცდილობს, გადაჭრას ახალ-ახალი პრობლემები და ა.შ., რის შედეგადაც მას ისეთი უნარები და კომპეტენციები უვითარდება, რომლებიც ხელს უწყობს გარემოსთან ადაპტაციასა და შინაგანი წონასწორობის დამყარებაში.

სწავლა-სწავლება ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც იგი მოსწავლის ინტერესებისკენ არის მიმართული. მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, მოსწავლეებს გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა შესასწავლი საკითხის მიმართ. ცნობისმოყვარეობა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელი ფაქტორია და, ამდენად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლა-სწავლების პროცესში. ის გონებას მიმართავს პასიურობიდან აქტიურობისკენ, ახალი იდეების აღმოჩენისა და ჰიპოთეზების წარმოდგენისკენ, ახალი მოვლენებისა და ფაქტების შემეცნებისკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცნობისმოყვარეობა მოსწავლეს კვლევა-ძიებისკენ უბიძგებს.

სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს ცნობისმოყვარეობა აღუძრას ნაცნობი გამოცდილების კონტექსტში, გამოიყენოს ისეთი სტიმულები, რომლებიც არ იქნება მათთვის სრულიად უცხო. საჭიროა ბალანსის დაცვა მოსწავლის უკვე არსებულ კოგნიტურ სქემასა და ახალი დავალების სირთულეს შორის – წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მოსწავლემ დაუძლევლად მიიჩნიოს ამოცანა და პასიურ მდგომარეობაში გადავიდეს.

მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს ცნობისმოყვარეობა აღუძრას: პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მიწოდებით; რეალური ფაქტის გაცნობამდე მასში წარმოდგენილ პრობლემურ სიტუაციაზე მსჯელობით; ვარაუდის გამოთქმაზე ორიენტირებული კითხვების დასმით; ახალი, უცნობი ფაქტებით; რაციონალური და ემოციური ფაქტორების თანხვედრით; მხატვრული ლიტერატურისა და ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით; ვიზუალური და აუდიომასალით; მოკლე ისტორიული ექსკურსით და ა.შ.

2. თვითრწმენა

თვითრწმენა მნიშვნელოვანი მოტივია სწავლისადმი პოზიტიური განწყობის შესაქმნელად. იმისთვის, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესში აქტიურად ჩაერთოს, ის დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობებში და ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს დასახული მიზნის მიღწევაში. წარმატების განცდა მოსწავლეს, საზოგადოდ, ადამიანს ხშირად აღუძრავს სურვილს, აღმოჩნდეს მსგავს მდგომარეობაში, რაც თავისთავად იქცევა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელ ფაქტორად.

როგორ განვუმტკიცოთ მოსწავლეებს თვითრწმენა?

ამისთვის მასწავლებელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას მოსწავლეების ცოდნის დონისა და კომპეტენციების, სასწავლო პროცესისთვის ხელსაყრელი თუ არასასურველი რწმენის შესახებ. მას შეუძლია ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ნეგატიური რწმენის პოზიტიურით შეცვლას. საწყის ეტაპზე სასურველია, მასწავლებელმა მათ ისეთი დავალებები მისცეს, რომლებსაც იოლად დაძლევენ – ეს უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ წარმატების განცდას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შესრულებული საქმიანობის ადეკვატურად შეფასება, მისი პოზიტიური მხარის აღიარება და საჭიროების შემთხვევაში – კონსტრუქციული შენიშვნების მიცემა. სასწავლო პროცესი, რომელიც დაფუძნებულია ეფექტურ უკუკავშირზე, მოსწავლეს აგრძნობინებს საკუთარ პროგრესს და წარმატებას, თანდათანობითი სტიმულირება კი ხელს შეუწყობს მას, ობიექტურად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები და განიმტკიცოს თვითრწმენა.

თვითრწმენის განმტკიცება უშუალოდ უკავშირდება კომპეტენციების განვითარებას, რისი მიღწევაც შესაძლებელია მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი განვითარების შესაბამისი დავალებებისა და სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. ამგვარი სასწავლო გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ სხვადასხვაგვარი გამოცდილების მიღებას. განვითარებული კომპეტენციები კი შემდგომ თავად იქცევა წამახალისებელ ფაქტორად და თვითრწმენის განმტკიცების საფუძვლად.

3. დამოკიდებულება

რა არის დამოკიდებულება?

დამოკიდებულება შეიძლება განიმარტოს როგორც ადამიანის მიერ მოვლენების, ფაქტების, იდეების, პიროვნებების და ა.შ. პოზიტიური ან ნეგატიური შეფასება. ის დამოკიდებულია გარე სამყაროს ინდივიდუალურ აღქმაზე და მომდინარეობს ადამიანის ფიქრებიდან, ემოციებიდან, გრძნობებიდან და გამოცდილებიდან. პირადი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უმთავრესად ის გარემო, საზოგადოება, რელიგია, კულტურა და ტრადიცია განაპირობებს, რომელშიც ადამიანი იზრდება და ვითარდება. აქვე უნდა ითქვას, რომ დამოკიდებულების შეცვლაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი გარემო, სადაც ღირებულებების, კულტურული და საზოგადოებრივი ნორმების შეფასება-გადაფასება სულ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, საინფორმაციო საშუალებები და სხვ. გამუდმებით ცდილობენ, შეცვალონ ადამიანის ფიქრები, ემოციები და განცდები ამა თუ იმ საკითხისა თუ მოვლენის მიმართ. აი, ამ რთულ ინფორმაციულ გარემოში მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა შეასრულოს გზამკვლევის როლი მოსწავლეთა პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. (როგორ ავამაღლოთ მოსწავლეთა სასწავლო მოტივაცია 13 აგვისტო 2013 წელი)

ვიდრე უშუალოდ სწავლის მიმართ მოსწავლის დამოკიდებულების განხილვას შევუდგებოდეთ, გავეცნოთ მის შემადგენელ კომპონენტებს, რომელთა გააზრებაც მასწავლებელს საშუალებას მისცემს, ადეკვატურად დაგეგმოს და გამოიყენოს შესაბამისი სტრატეგიები მოსწავლის პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად.

დამოკიდებულება სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება:

1. აფექტური კომპონენტი მოიცავს ადამიანის ემოციურ რეაქციას კონკრეტული ობიექტების მიმართ. ის გამომდინარეობს ადამიანის ემოციური გამოცდილებიდან.

ასეთი დამოკიდებულება ლოგიკური აზროვნების შედეგი კი არ არის, არამედ ადამიანის შინაგანი მიმართებების, გრძნობებისა და განცდების გამოხატულებაა.

2. ქცევითი კომპონენტი კონკრეტულ ქმედებებში აისახება. მოსწავლემ არ იცის, მისაღებია თუ არა მისთვის კონკრეტული ქცევა, სანამ თავად არ გამოსცდის მას პრაქტიკაში. ასეთი დამოკიდებულება უმეტესად საკუთარ ან სხვების ქმედებებზე დაკვირვების შედეგად ყალიბდება.

3. კოგნიტური კომპონენტი ეფუძნება რაციონალურ გამოცდილებასა და ფაქტებს. ასეთი დამოკიდებულება საშუალებას აძლევს ადამიანს, მოვლენები, პიროვნებები, ფაქტები თუ მოსაზრებები შეაფასოს ლოგიკაზე დაყრდნობით, არსებული გამოცდილების საფუძველზე.

მნიშვნელოვანია ასევე, მასწავლებელმა იცოდეს, რომ მოსწავლეთა დამოკიდებულება გარკვეული საკითხების მიმართ და მათი ქცევა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, ის, რომ მოსწავლე უმეტესად მომზადებული მოდის გაკვეთილზე, შესაძლოა სულაც არ ნიშნავდეს, რომ მას პოზიტიური დამოკიდებულება აქვს სწავლის მიმართ. მისი ეს ქმედება შესაძლოა სულ სხვა მოტივით იყოს განპირობებული – დასჯის შიშით ან/და საჩუქრის მიღების დაპირებით. მასწავლებლის მთავრი ამოცანა კი ის არის, რომ მოსწავლეთა მოტივაცია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და განვითარებისკენ მიმართოს.

როგორ განვსაზღვროთ მოსწავლეთა დამოკიდებულება და როგორ შევუწყოთ ხელი სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას?

ამისათვის:

- . შექმენით მოსწავლეთათვის უსაფრთხო სასწავლო გარემო;
- . შეიტანეთ ურთიერთობაში მეტი სიცხადე და სიზუსტე;
- . გამოიყენეთ ეფექტური კომუნიკაცია, როგორც ნდობის ჩამოყალიბების ინსტრუმენტი;
- . მიეცით მოსწავლეებს აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება;
- . გამოხატეთ პატივისცემა მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და იდეების მიმართ;
- . შეეცადეთ განსაზღვროთ, დამოკიდებულების რომელი კომპონენტი უდევს საფუძვლად მოსწავლის შეხედულებას;

. ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად ჩართეთ მოსწავლე სასწავლო პროცესში და დაანახეთ საკუთარი მნიშვნელობა;

. მიეცით მოსწავლეებს საშუალება, მსჯელობითა და დისკუსიებით თავად განსაზღვრონ პირადი დამოკიდებულება სწავლის მიმართ; გაიაზრონ არსებული დამოკიდებულების გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები;

. მათ უნდა იმსჯელონ იმის შესახებ, როგორ დაეხმარებათ პოზიტიური დამოკიდებულება სასწავლო ამოცანების დაძლევისა და მათ მომავალ წარმატებაში;

. მათ უნდა იმსჯელონ იმის შესახებ, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ნეგატიურმა დამოკიდებულებამ მათ განვითარებასა და მომავალზე;

. წახალისეთ ისინი, რათა განუმტკიცდეთ თვითრწმენა.

4. მოთხოვნილებები

მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები შესაძლოა ერთმანეთისგან მეტად განსხვავებული იყოს. ამის შესახებ ყველაზე ცნობილ კლასიფიკაციას ამერიკელი ფსიქოლოგი აბრაჰამ მასლოუ გვთავაზობს. ის ადამიანის მოთხოვნილებათა ხუთ კატეგორიას გამოყოფს: 1. ბიოლოგიური (კვების, წყურვილის დაკმაყოფილების, ძილის...) მოთხოვნილებები; 2. უსაფრთხოების (სტაბილურობის, დაცულობის განცდის...) მოთხოვნილება; 3. კუთვნილებისა და სიყვარულის (ოჯახის, გუნდის, ურთიერთობების, ემპათიის...) მოთხოვნილება; 4. საკუთარი თავის მიმართ პატივისცემისა და აღიარების (ამა თუ იმ სტატუსის ქონის, წარმატების, რეპუტაციის მოპოვების...) მოთხოვნილება; 5. თვითრეალიზაციის მოთხოვნილება.

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიულ მოდელში ბიოლოგიური, ანუ საბაზისო მოთხოვნილებები ყველაზე დაბალ საფეხურზე განიხილება, ხოლო პიროვნების განვითარებისა და საკუთარი თავის რეალიზაციის მოთხოვნილებები – ყველაზე მაღალ საფეხურზე. განათლების მიზნები ორიენტირებულია უფრო მაღალი მოთხოვნილებების ყოველდღიურ აუცილებლობად ქცევაზე. მოსწავლეებს ისეთი უნარები და დამოკიდებულებები უნდა ჩამოუყალიბდეთ, როგორც არის გუნდურად მუშაობის უნარი, სოციალური აზროვნება, სხვისი აზრის მოსმენა და გაზიარება, თვითრეალიზება და ა.შ.

რა მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მოთხოვნილებების დადგენას სწავლის მოტივაციისთვის?

ეფექტური სწავლება მოსწავლეთა მოტივაციის დონეზეა დამოკიდებული. მასლოუს იერარქიის მიხედვით, სწავლის მოთხოვნილების განმსაზღვრელი შეიძლება

განსხვავებული დონის მოტივაცია იყოს. მაგალითისთვის მივუბრუნდეთ ზემოთ განხილულ სიტუაციას, რომელიც სწავლის მიმართ მოსწავლის დამოკიდებულებას ეხებოდა. მოსწავლის მიერ დავალების კარგად შესრულება შესაძლოა განპირობებული იყოს: დასჯის შიშით, საჩუქრის მიღების დაპირებით, აღიარების მოთხოვნილებით, ინტერესით და სხვ.(კავშირები ქიმიის სწავლებასა და ყოველდღიურობას შორის საგაკვეთილო პროცესში. 15 აგვისტო 2018 წელი)

მასწავლებელმა ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისთვის უნდა შეძლოს მოსწავლეთა საჭიროებებისა და მოთხოვნილების დადგენა, განსაზღვროს, იერარქიის რომელ საფეხურზეა მოსწავლე და რა მოტივები უდევს საფუძვლად სწავლას. შედეგად მან უნდა შეიმუშაოს ადეკვატური სტრატეგიები, რითაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართვასა და მათი მოტივაციის ამაღლებას.

როგორც განხილული ფაქტორებიდან ჩანს, მოტივაციის წყაროები მრავალფეროვანია და თითოეული მათგანი გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და მათ წარმატებაში. თუ გსურთ, ხელი შეუწყოთ მოსწავლეთა სწავლის უნარის განვითარებას, ამისთვის აუცილებელია მოტივაციის პრინციპების გააზრება და სასწავლო პროგრამების შედგენისას, ასევე – უშუალოდ სასწავლო პროცესში მათი გათვალისწინება. ეს საშუალებას მოგცემთ, მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ საჭიროებებზე დაყრდნობით შექმნათ ეფექტური და შემოქმედებითი სასწავლო გარემო და უზრუნველყოთ სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის აქტიური და ხალისიანი ჩართვა.

IV. საკვლევი საკითხის შესწავლა და კვლევის მეთოდოლოგია.

კვლევის მიზანი იყო მეცხრეკლასელთა დაბალი მოტივაციის გამომწვევი მიზეზების დადგენა ქიმიის გაკვეთილებზე და შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებით მოტივაციის ამაღლება

იმისათვის, რომ კვლევა სწორი მიმართულებით წამყვანა, საჭირო იყო მთავარი კითხვის დასმა, რომელზეც პასუხის ძიება იქნებოდა კვლევის მთავარი ამოცანა. **მთავარი კითხვა** ასეთია: რა არის მეცხრეკლასელთა დაბალი მოტივაციის მიზეზები ქიმიის გაკვეთილზე?

ამის შემდეგ ჩამოვყალიბე ქვეკითხვები, რომელიც დამეხმარებოდა პასუხი გამეცა კვლევის მთავარ შეკითხვაზე.

ქვეკითხვები

- რა უპირატესობა აქვს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებას გაკვეთილზე?;
- რომელმა რესურსმა უკეთ იმოქმედა?
- ეხმარება თუ არა ისტ ტექნოლოგიების აქტიურად ჩართვა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას?
- რამდენად განიხილავენ მასწავლებლები კატედრაზე აღნისნულ საკითხს?
- რა გავლენას ახდენს სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება მოსწავლეების მოტივაციასა და ჩართულობაზე ?
- რა ინტერესები აქვთ მოსწავლეებს და როგორ მოვახდინოთ საგაკვეთილო პროცესის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება ?
- არის თუ არა სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტექსტები მათთვის მისაღები შინაარსობრივი თვალსაზრისით ან მოცულობითი თვალსაზრისით?
- რამდენ ხანს ანდომებენ სახლში საშინაო დავალების შესრულებას და არის თუ არა ეს დამღლევი მათთვის?
- ამ პრობლემის მიზეზი ხომ არ არის სწავლისთვის შესაბამისი უნარ-ჩვევების არქონა ან სიზარმაცე?
- რა დაეხმარება მათ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში ?
- როგორი გაკვეთილი იქნება მათთვის საინტერესო?
- რა თემებია მათთვის საინტერესო რომელთა შესწავლაც გაზრდის მათ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად შევიმუშავე კვლევის გეგმა.

კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდებად გამოვიყენე ღია და დახურული ანკეტირება, ინტერვიუ, ფოკუსირებული დაკვირვება გაკვეთილზე და კითხვარები.

კვლევის მიზანი იყო მეცხრეკლასელთა დაბალი მოტივაციის გამომწვევი მიზეზების დადგენა ქიმიის გაკვეთილებზე და შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებით მოტივაციის ამაღლება

საკვლევი თემიდან გამომდინარე, კვლევის პირველ ეტაპზე მოვახდინე სამიზნე ჯგუფის საჭიროებების, მოლოდინების, ინდივიდუალური თავისებურებებისა და პოტენციალის შესწავლა; აგრეთვე კლასში შემსვლელი სხვა მასწავლებლების გამოცდილების შესწავლა. შემდეგ ეტაპზე დავამუშავე და გავაკეთე მონაცემთა ანალიზი. ხოლო დასკვნით ეტაპზე მოხდა განხორციელებული ინტერვენციების შედეგებისა და ეფექტურობის ანალიზი და შეფასება.

საკითხის შესწავლის მიზნით გამოვიყენე კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტებად გამოვიყენე დაკვირვება გაკვეთილებზე(აღწერითი და ფოკუსირებული დაკვირვება) და ფოკუსჯგუფი. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტებად კი შერეული ტიპის(ღია და დახურული) კითხვარი.

V. კვლევის შედეგები-მონაცემთა ანალიზი

კვლევის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე ჩავატარე აღწერითი დაკვირვება, რომლის შედეგად გამოიკვეთა ზოგადი სურათი. მოსწავლეთა მოტივაციის დონე, რომლის განსაზღვრაც წარმოადგენდა კვლევის პირველად მიზანს აღმოჩნდა საკმაოდ დაბალი, შესაბამისად მათი გაკვეთილში ჩართულობა იყო განსაზღვრული არა მათივე იტერესით, არამედ მასწავლებლების კითხვებთა და უშუალო დავალებების მიცემით თითოეული მოსწავლის მიმართ. ასევე ახალი მასალის ახსნისას, როდესაც მოსწავლე პასიურად უნდა იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში, მოსწავლეთა უმრავლესობა მასწავლებელს არ უსმენდა, რაც გამოიკვეთა ჩემს მიერ ახალ მასალასთან დაკავშირებით დასმული შეკითხვებით. მოსწავლეები არ იყვნენ ჩართულნი, რადგან არ არსებობდა გაკვეთილის ახსნით ნაწილში მათი ქულებით შეფასების მოლოდინი და რაიმე სახის გამოკითხვა. შესაბამისად, მოტივაციის მთავარ ფაქტორად გამოიკვეთა ქულა, თუმცა აღსანიშნავია რომ ასეთი გარე მოტივატორები არ არის ეფექტური და არ გვამღევეს სასურველ შედეგს. ასევე, ჯგუფური სამუშაოების დროს მოსწავლეთა უმრავლესობის ჩართულობის დონე იზრდებოდა, რაც კონკურენტული ხასიათის აქტივობებით აიხსნება.


გაკვეთილზე ფოკუსირებული დაკვირვება განხორციელდა სავარაუდო მოტივატორების გავლენაზე, როგორებიცაა ქულა, თანამედროვე მიდგომები და მეთოდოლოგია, პრაქტიკულ სამუშაოებზე ორიენტირება, შესწავლილ მასალა და ყოველდღიურ გამოწვევებს შორის მკაფიო კავშირის გამონახვა-განსაზღვრა, ზოგადი

პოზიტიური გარემო. ქულა, როგორც მოტივატორი ძალიან არამყარია თუმცა აქტიურად გამოიყენება დღევანდელ სწავლა-სწავლების პროცესში და მოსწავლისთვისაც ერთ-ერთი მთავარი მოტივაციის წყაროა. მიუხედავად ამისა, ის ფაქტი, რომ გაკვეთილის ყოველ ეტაპზე არ ხდება მოსწავლის შეფასება ქულით, ამ უკანასკნელს ხდის მთავარ დემოტივატორად, სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ უნდა მოხდეს მისი ჩანაცვლება, კერძოდ კი, საგაკვეთილო პროცესის თანამედროვე მეთოდოლოგიითა და მიდგომებით წარმართვა და პრაქტიკულ სამუშაოებზე ორიენტირება, რისი საშუალებაც სამწუხაროდ ძალიან მცირეა ჩვენს პირობებში, მაგრამ მოთხოვნა მოსწავლეთაგან ძალიან დიდი. მოსწავლეთა პასიურობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი არის მათი წარმოდგენა და შეხედულება ქიმიის, როგორც ყოველდღიურობაში გამოყენებელი საგნის მიმართ. სწორედ რესურსების დეფიციტისა თუ ლაბორატორიის არარსებობის გათვალისწინებით ვერ ხორციელდება მრავალი შესაძლო პროექტი, რაც გაუადვილებდა მოსწავლეებს მკაფიოდ აღეჭვათ და დაენახათ რეალურად არსებული მჭიდრო კავშირი საგანში შესასწავლ მასალასა და ყოველდღიურ გამოწვევებს შორის.

ფოკუსჯგუფის შედეგების ანალიზისას გამოვლინდა, რომ მთავარი მიზეზი მე-9 კლასის მოსწავლეებში მოტივაციის შემცირებისა არის ისეთი პრაქტიკული საგნის, როგორიცაა ქიმია სრულიად თეორიული სახით მიწოდება, ხოლო მთავარი მოტივაციის წყარო საინტერესო, მრავალფეროვანი და პრაქტიკული სამუშაოებით გაჯერებული სწავლება და საგაკვეთილო პროცესები. მოსწავლეების მთავარი მოტივატორი, რომელიც იქნება ხანგრძლივი და ეფექტური უნდა იყოს საგნის მნიშვნელობასა და ყოველდღიურობაში გამოყენებასთან დაკავშირებული. იაზრებს რა მოსწავლე, რომ რომელიმე კონკრეტული საგანი არის პრაქტიკული და ნებისმიერი თეორია თუ დასწავლილი მასალა გამოყენებადი და საჭიროა პრაქტიკაში, იწყება მისი ინტერესის გაზრდა მოცემული საგნის მიმართ, რაც თავის მხრივ ზრდის აქტიურობის დონეს საგაკვეთილო პროცესის მსვლელობისას, ასევე მათ ჩართულობას გაკვეთილის ყოველ ეტაპზე და აკადემიურ მოსწრებას.


პრაქტიკული კვლევის ფარგლებში პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით ასევე მნიშვნელოვნად მივიჩნიე მე-9 კლასელ მოსწავლეთა და ამავე კლასში შემსვლელ პედაგოგთა გამოკითხვა იმის გამოსაკვეთად, თუ რა ფაქტორები იწვევს მოსწავლეთა მოტივაციის შემცირებას და როგორ შეიძლება გამოსწორდეს არსებული სიტუაცია. გამოკითხულ იქნა 23 მოსწავლე, 11- გოგო, 12- ბიჭი. მოსწავლეთა მიერ დასახელებული საგნის შესწავლის მთავარი მიზანი აღმოჩნდა კლასიდან კლასში გადამსვლელი მინიმალური ქულის მიღება და სკოლის შეუფერხებლად დასრულება. ისინი მიიჩნევენ, რომ საგანი უსარგებლოა ცხოვრებაში ორიენტირებისთვის, თუმცა 8% (2 მოსწავლე) თვლის, რომ საგანში მიღებული ცოდნა ესაჭიროება მომავალი პროფესიისთვის. კითხვაზე თუ როგორია მოსწავლეთა აქტიურობა საგაკვეთილო

პროცესის დროს უმრავლესობამ, კერძოდ კი 78%-მა საკუთარი მუშაობა შეაფასა 5 ქულით. წარმატებული სწავლისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად მოსწავლეებმა მიიჩნიეს თანამედროვე მეთოდებით ახსნილი ახალი მასალა/პრაქტიკული სამუშაოები. (იხ. დანართი 1)



დიაგრამა 1. მოსწავლეთა კითხვარის შედეგები

კითხვაზე თუ კლასში მუშაობის რომელ ფორმას ანიჭებენ უპირატესობას მოსწავლეთა უმრავლესობამ 75% (17 მოსწავლე) აირჩია ჯგუფური მუშაობის ტიპი. ხოლო ყველაზე ნაკლებ პოპულარული მოსწავლეთა შორის აღმოჩნდა ინდივიდუალური მუშაობა. (იხ. დიაგრამა 2)




დიაგრამა 2. მოსწავლეთა კითხვარის შედეგები

მოსწავლეები თითქმის ერთხმად ასახელებენ ერთ ფაქტორს, რომელიც გაზრდის მათ მოტივაციასა და ინტერესს ქიმიის გაკვეთილებზე და ეს ფაქტორი არის პრაქტიკული სამუშაოებისა თუ ცდების ჩატარება, რაც პირდაპირ კავშირშია მათ მოთხოვნილებასთან დაინახონ რეალური კავშირი გარესამყაროსა და შესწავლილ მასალას შორის. ქიმიის საგნისა და ყოველდღიურ გამოწვევებს შორის არსებული კავშირის დონე 70%-მა (16 მოსწავლე) ათბალიან შკალაზე 3 ქულით შეაფასა, ხოლო მხოლოდ ერთმა მოსწავლემ 9 ქულით. მოსწავლეთა მიერ დასახელებული შესაძლებელი ცვლილებები, რომლითაც მათი აზრით გაზრდიდა მათივე მოტივაციას ქიმიის გაკვეთილზე მრავალგვარია, თუმცა მათი საერთო ხასიათი აერთიანებს ყველა მათგანს, ეს უკანასკნელი კი არის პრაქტიკული სამუშაოების გაზრდა შესწავლილ თეორიაზე დაყრდნობით.


კვლევის ფარგლებში ასევე ვეცადე, გამერკვია მე-9 კლასში შემსვლელ მასწავლებელთა მოსაზრებები აღნიშნული საკითხის ირგვლივ. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 8 მასწავლებელმა, გამოკითხვა ჩატარდა ანონიმურად და მიღებული შედეგები განზოგადდა. როგორც შედეგები ცხადყოფს, გამოკითხულ მასწავლებელთა 62.5% (5 მასწავლებელი) მოსწავლეთა აქტიურობის დონეს ქიმიის გაკვეთილზე აფასებს 6 ქულით. კითხვაზე, თუ რა არის მოსწავლეთა პასიურობის მიზეზი, 85.5% (7 მასწავლებელი) ასახელებს პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო რესურსების დეფიციტს, ხოლო 1 მასწავლებელს მიაჩნია, რომ თანამედროვე მეთოდოლოგიის უგულვებელყოფა არის ამის მიზეზი. გამოკითხულ მასწავლებელთა 25% (2 მასწავლებელი) აცხადებს, რომ მათი წარმატებული სწავლების მთავარი კომპონენტი არის ქიმიის საგნის შესაბამისი აღჭურვილობა/რესურსები, ასევე იგივე

რაოდენობა მთავარ კომპონენტად ასახელებს თანამედროვე მიდგომებსა და მეთოდებს სწავლებაში. (იხ. დიაგრამა 3)



დიაგრამა 3. მასწავლებლის კითხვარის შედეგები

ფაქტორი, რაზეც მოსწავლეებიცა და მასწავლებლებიც სრულიად თანხმდებიან არის ის, რომ თეორიულად დასწავლილ მასალასა და ყოველდღიურ გამოწვევებს შორის მჭიდრო კავშირის არსებობა არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. მასწავლებელთა 100%-მა დადებითად უპასუხა ზემოთ მოცემული შინაარსის კითხვას. მასწავლებელთა უმცირესობა, კერძოდ კი, 12.5% (1 მასწავლებელი) მიიჩნევს რომ ინდივიდუალური სახის მუშაობა არის ყველაზე ეფექტური და მამოტივირებელი მოსწავლისთვის. (იხ. დიაგრამა 4)



დიაგრამა 4. მასწავლებლის კითხვარის შედეგები

დაბოლოს, მასწავლებელთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული კვლევა დიდწილად შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესის, კერძოდ, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას ქიმიის გაკვეთილებზე მე-9 კლასში.

მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც დამეხმარა სავარაუდოდ ინტერენციების შედგენაში:

- მოსწავლეთა დაბალი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში თეორიული სწავლებისას;
- საშინაო დავალებების შესრულებისადმი გულგრილი დამოკიდებულება;
- მოსწავლეთა მცირე გამოცდილება ინტეგრირებული პროექტების მომზადების კუთხით;
- გარესამყაროს რეალურ გამოწვევებთან დაკავშირებული პროექტებისა თუ აქტივობების ჩატარების დაბალი სიხშირე;
- გამოცდილების გაზიარების ნაკლებობა მე-9 კლასის პედაგოგებს შორის.

VI. ინტერვენციები

პრაქტიკული კვლევის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამ თავში წარმოვადგენ და აღწერ კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შემუშავებულ ინტერვენციებს, მათი მიმდინარეობის პროცესებს და წამოჭრილ პრობლემებს.

ინტერვენციები მიზნად ისახავს მე-9 კლასში მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასა და მათი სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურ ჩაბმას.

1. სხვადასხვა ქიმიური ცდების დემონსტრირება/შესწავლილი თეორიების პრაქტიკული აქტივობებში განხორციელება/ შესაბამისი ვიდეოების ჩვენება

მოსწავლეებში გამოვლინდა დიდი სურვილი თეორიული მასალის პრაქტიკული აქტივობებით ჩანაცვლებისა. რადგანაც მივიჩნევ, რომ ქმედების პროცესში უფრო საფუძვლიანად სწავლობს ბავშვი, ვიდრე „მონათხრობითა“ თუ დაზუთხული თეორიით, და რადგანაც მოქმედებაში უშუალო ჩართულობა აღვიძებს ბავშვის ინტერესს და უბიძგებს მას უფრო მეტი და მეტი გამოიკვლიოს კონკრეტული საგნის შესახებ, გადავწყვიტე ჩემს ხელთ არსებული რესურსების გამოყენებით ჩამეტარებინა ცდები კლასის წინაშე და მიმეცა მათთვისაც საშუალება ყოფილიყვნენ არა მარტო დამსწრეები, არამედ უშუალო მონაწილეები. ამგვარად, შესწავლილი თეორიები მეტად მყარად დაილექა მოსწავლეთა გონებაში, რაც აისახა დასკვნით ტესტირებაზე მოსწავლეთა გაუმჯობესებული ქულებით. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ რესურსებისა თუ სხვადასხვა ქიმიური აღჭურვილობის დეფიციტისდა გამო ხშირად შეუძლებელია სხვადასხვა შედარებით რთული ხასიათის ცდების ჩატარება საკლასო ოთახში, ამიტომ ჩემს მიერ შემუშავებული გეგმა მოვაწყო ვიდეო ჩვენებები და შესაძლებელი გავხადო მოსწავლეებისთვის კონკრეტული თეორიის პრაქტიკაში განხორციელების გზებისა თუ ხერხების ჩვენება. მაგალითისთვის, ნარევისა და ნაერთის ბუნებას უკეთ გაიგებს და დაიმახსოვრებს მოსწავლე შაქრიანი წყლისა და ზეთიანი წყლის დემონსტრირების შემდეგ.

2. პროექტი „ქიმია ჩვენს ყოველდღიურობაში“

მოსწავლეებში შეინიშნებოდა საშინაო დავალებებისადმი გულგრილი გამოკიდებულება, რისი მიზეზიც არა მათ უინტერესობაში, დავალების სირთულეში ანდა სიზარმაცეში იყო, არამედ დავალებების მონოტონურობაში. მათი თითქმის ყოველკვირეული დავალება წარმოადგენდა შემდეგს: სახელმძღვანელოში არსებულ კითხვებზე პასუხი, სამუშაო რვეულში არსებული ამოცანების ამოხსნა, რამაც საბოლოოდ გამოიწვია მათი მოტივაციის შემცირება. მოსწავლეებში არსებული დამოკიდებულების შესაცვლელად

შევიმუშავე პროექტი სახელწოდებით „ქიმია ჩვენს ყოველდღიურობაში“, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად ანდა ჯგუფურად მასალისა და მიხედვით და ამზადებენ სხვადასხვა სახის პროექტს. მთავარი იდეა და მოთხოვნა არის ის, რომ მოცემული თეორია წარმოდგენილი იყოს ყოველდღიური ცხოვრების რომელიმე ასპექტში. პირველ რიგში ეს ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას მნიშვნელოვნად, ხოლო შემდეგ ხდება მათი გააქტიურება და შედეგად კლასის ყოველი მოსწავლე ჩართულია სასწავლო პროცესში და საკუთარ პროექტზე მუშაობის შემდეგ გათავისებული და სიღრმისეულად გააზრებული აქვთ ნასწავლი მასალა.

3. პროექტი „ქიმია+X=თანამედროვე სწავლება“

ინტეგრირებული გაკვეთილები თანამედროვე სწავლების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე პროექტის სახელწოდებით „ქიმია+X=თანამედროვე სწავლება“, სადაც X აღნიშნავს „ცვლად“ საგანს, რაც გულისხმობს იმას რომ ქიმიის ინტეგრაცია ხდება სხვადასხვა საგნებთან თემების გათვალისწინებითა და შესაბამისობით. შედეგად, მოსწავლეები ქიმიაში მიღებულ ცოდნას აჯამებენ სხვა საგანში მიღებულ ცოდნასა და ინფორმაციასთან, მათი მუშაობა კი ხდება უფრო აქტიური და ნაყოფიერი.

4. მასწავლებელთა სისტემატიური შეხვედრები და უკუკავშირი

გამოცდილების გაზიარებისა და ზოგადად პროფესიული კუთხით ურთიერთობა მასწავლებლებს შორის წარმოადგენდა პრობლემატურ საკითხს, რაც რაღა თქმა უნდა აისახებოდა მოსწავლეთა და კლასის აკადემიურ მოსწრებაზე. ამიტომ შევიმუშავეთ გარკვეული სისტემა, რომლის მიხედვითაც ყოველი ინტეგრირებული გაკვეთილის შემდეგ ხდებოდა მასწავლებელთა შეხვედრა და მათ შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა, პრობლემების გამოკვეთა და გამოსავლის გზების დასახვა. ასევე შევადგინეთ რჩევების წიგნი, სადაც მასწავლებელთა შორის სისტემატიური სახის უკუკავშირის ჩამოყალიბება გახდა შესაძლებელი.

ზემოთ ჩამოთვლილი და განხილული ინტერვენციების განხორციელების შედეგად მე-9 კლასის მოსწავლეებში მოტივაციის დონე ქიმიის გაკვეთილზე გაიზარდა და ასევე გაიზარდა მათი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში.

VII. ინტერვენციების განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემები

წარმოდგენილი ინტერვენციების განხორციელებისას ბუნებრივია წამოიჭრა რამდენიმე პრობლემური საკითხი. პირველი და უმთავრესი იყო რესურსებისა და ცდების ჩასატარებლად საჭირო ინვენტარის დეფიციტი და ასევე ინფრასტრუქტურის ტექნიკური გაუმართაობა. მოცემული პრობლემა გადაიჭრა შემდეგნაირად: მარტივი სახის ცდები, რისი ჩატარების საშუალებაც იქმნებოდა არსებულ პირობებში ტარდებოდა უშუალოდ მოსწავლეთა თვალწინ, ხოლო შედარებით რთული ცდები, რომელთა ჩატარებასაც ესაჭიროებოდა სხვადასხვა ქიმიური ხელსაწყო ანდა ლაბორატორიული პირობები წარმოდგენილ იქნა ჩემ მიერ წინასწარ ჩამოტვირთული ვიდეობის სახით, რომლებსაც პირადი კომპიუტერის საშუალებით ვაჩვენებდი კლასს და შემდეგ ვაწყობდით განხილვას. მოსწავლეების მხრიდან წარმოიშვა პრობლემა დამოუკიდებელი სამუშაო-პროექტების შესრულებისას, მათ მუშაობის პროცესში უჩნდებოდათ მრავალი კითხვა და ელობოდნენ არაერთ სირთულეს, რომელთა გადაჭრა და მოგვარებაც აუცილებელი იყო მოცემულ მომენტში, ამიტომ შვიდმუშავით შემდეგი გეგმა: სოციალურ ქსელში შექმენი ჯგუფი, სადაც მოსწავლეებს შეეძლოთ დაესვათ ნებისმიერი კითხვა, მიეცათ ერთმანეთისთვის რჩევა, გაეცათ კითხვებზე პასუხი და საჭიროების შემთხვევაში მიეღოთ მათ მიერ დასმულ შეკითხვაზე პასუხი ჩემგან. ამან ურთიერთობა და ერთმანეთთან კავშირი ნებისმიერ დროს გახადა ბევრად მოსახერხებელი და კომფორტული, ასევე მოსწავლეთა პროექტების შედეგებისა თუ პროცესის რომელიმე ეტაპის ჯგუფში გამოქვეყნება დადებითად აისახებოდა მათ მოტივაციასა და თავდაჯერებაზე. პროვლემები წარმოიშვა მასწავლებელთა შეხვედრების მოწყობის დროსაც, რადგანაც ბუნებრივია ყველა მასწავლებელს ინდივიდუალური გრაფიკი და შესაბამისად განსხვავებული თავისუფალი დრო აქვს. ამ უკანასკნელის გადაჭრის გზად „წიგნაკის“ შექმნა გადავწყვიტე, რამაც გაამართლა და მასწავლებელთა კომუნიკაცია გაამარტივა, თუმცა იშვიათი, მაგრამ სისტემატიური სახის შეხვედრების აუცილებლობა „წიგნაკის“ არსებობისასაც მნიშვნელოვანია, ამიტომ გაგრძელდა მოცემული ინტერვენცია.

VIII. ინტერვენციების შეფასება

პრაქტიკული კვლევის დასკვნით ეტაპზე ინტერვენციების ეფექტიანობის გასაზომად განვახორციელე ფოკუსირებული დაკვირვება რამდენიმე გაკვეთილზე, რომლის მიზანი იყო გამომეკვთა საწყის ეტაპზე არსებული მოლოდინებისა და

დამოკიდებულებების თანხვედრა ინტერვენციების საფუძველზე მიღებულ შედეგებთან. კერძოდ:

- რამდენად შეიცვალა მოსწავლეთა დამოკიდებულება საგნის მიმართ და არიან თუ არა დაინტერესებულნი დაგეგმილი აქტივობების განხორციელებითა თუ შესასწავლი მასალის განხილვით;
- რამდენად დაიხვეწა მოსწავლეთა უნარები ინტეგრირებული პროექტების ჩატარების მხრივ;
- გაიზარდა თუ არა მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში;
- რამდენად ეხმარება მოსწავლეს პრაქტიკული მიდგომები, რომ გაიაზროს ახსნილი მასალა და ეფექტურად დაისწავლოს მიღებული ინფორმაცია.


ფოკუსირებული დაკვირვების შედეგები განზოგადდა და შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- ცდების დემონსტრირება მოსწავლეებში აღძრავდა მეტ ინტერესს და მათი აქტიურობისა თუ ჩართულობის დონე საგრძნობლად იზრდებოდა;
- დამოუკიდებლად ცდების დაგეგმვა/ჩატარება მოსწავლეებში ზრდიდა თავდაჯერებულობის, დამოუკიდებლობისა და წარმატებულობის განცდას;
- პროექტი „ქიმია+X=თანამედროვე სწავლება“ და „ქიმია ჩვენს ყოველდღიურობაში“ აღმოჩნდა ძალიან წარმატებული მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად და მათი საგნის მიმართ დამოკიდებულების შეცვლისთვის;
- პროექტებზე მუშაობა და მათი განხორციელება ხელს უწყობდა მოსწავლეთა წახალისებას;
- სწავლა-სწავლების პროცესის ყოველდღიურ გამოწვევებთან დაახლოებამ გამოიწვია ყოველი მოსწავლის ჩართვა, მათი ინტერესის საგრძნობლად გაძლიერება და ასევე მათ თვალში ქიმიის, როგორც საგნის მნიშვნელობის გაზრდა, შესაბამისად მცდელობა ჰქონოდათ მაღალი აკადემიური მოსწრება გახშირდა და გაძლიერდა, რასაც შესაბამისი შედეგიც მოჰყვა;
- სოციალურ ქსელში შექმნილმა ჯგუფმა და ურთიერთობისთვის სისტემატიური სახის მიცემამ ისინი კიდევ უფრო დაახლოვა საგანთან, გაზარდა ჯანსაღი კონკურენცია მოსწავლეებს შორის, და წახალისა ემუსავათ თავდაუზოგავად დასახული მიზნების მისაღწევად.

ეფექტური და შედეგის მომცემი აღმოჩნდა ყველა დაგეგმილი და განხორციელებული ცვლილება.

ინტერვენციების შეფასების მიზნით ასევე ჩავატარე გამოკითხვა მე-9 კლასის მოსწავლეებს შორის. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 23 მოსწავლემ. კითხვაზე -

„რომელი აქტივობაა თქვენთვის ყველაზე საინტერესო, ნაყოფიერი და სახალისო?“ – მოსწავლეთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:



დიაგრამა 5. მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები

IX. პრაქტიკული კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები

პრაქტიკული კვლევის პროცესში პრობლემის იდენტიფიცირების, მსგავსი გამოცდილების გაზიარების, თეორიული მასალის მიმოხილვის, დაგეგმილი ინტერვენციების განხორციელებით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი მიგნებები:

- პრაქტიკული მეთოდების დანერგვა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლეებში საგნის პოპულარიზაციასა და საგნისავე სიღრმისეულ გაგებაში;
- მოსწავლეთა და მასწავლებელთა შეუფერხებელი, ხშირი კომუნიკაცია აადვილებს დავალების შესრულებას და ამაღლებს საგნისა და დავალების მნიშვნელობას მოსწავლეების თვალში;

- ჯგუფური პროექტები, სადაც ქიმიასთან ერთად სხვა რომელიმე საგანია ჩართული ზრდის მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გრძნობას და ასევე მათ მოტივაცია;
- პედაგოგებს შორის გამოცდილების გაზიარება, საერთო პრობლემების გამოკვეთა და ამ პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივი ძიება, მათ მიერ ტანამშრომლობითი სწავლების პრინციპებზე დაგეგმილი აქტივობების ხშირი და სისტემატიური ჩატარება ხელს შეუწყობს თანამშრომლობითი სწავლის ეფექტურობის გაზრდას.

კვლევის შედეგებსა და მიგნებებზე დაყრდნობით შევიმუშავე რეკომენდაციები მოსწავლეებში მოტივაციისა და შრომისუნარიანობის გაზრდის მიზნით:

- იმისათვის რომ გადავჭრათ ჩემს მიერ დასმული მთავარი პრობლემა – მოტივაციის შემცირება მოსწავლეებში და ვიზრუნოთ მათი ინტერესის გაღვივებაზე, კონკრეტულ შემთხვევაში ქიმიის გაკვეთილებზე, პირველ რიგში უნდა მკაფიოდ განვსაზღვროთ და ჩვენი სწავლებით მუდმივად ნათელვყოთ საგნის მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში, რათა მოსწავლეს გაუჩნდეს მიზანი და სურვილი კონკრეტული საგნის მაღალ დონეზე ცოდნისა;
- კლასში შევექმნათ მეგობრული, თანამშრომლური და უსაფრთხო გარემო;
- აუცილებელია, სწორად გადავანაწილოთ თეორიის ახსნისა და ცდების დემონსტრირებისათვის განკუთვნილი დრო;
- აუცილებელია, მაქსიმალური ყურადღება გავამახვილოთ ყოველი მოსწავლის ჩართულობაზე ცდის წარმოდგენასა თუ განხილვაში;
- აუცილებელია ჯგუფური მუშაობისა თუ პრექტის დაწყებამდე მოსწავლეებს მიეცეს მკაფიო, ნათელი ინსტრუქციები და დავალების შესრულების მოდელი, ნიმუშები;
- აუცილებელია, განიმარტოს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოხდება ნაშრომებისა თუ პროექტების საბოლოო შეფასება;
- აუცილებელია, შენარჩუნებულ იქნას მოსწავლეებსა და მოსწავლესა და პედაგოგს შორის კონტაქტი;
- სასურველია, საწყის ეტაპზე დავგეგმოთ და განვახორციელოთ შედარებით მარტივი, სახალისო და მოკლე დროში შესასრულებელი აქტივობები, რომლებიც ამავდროულად ემსახურება გაკვეთილის მიზნის მიღწევას;
- სასურველია, მოსწავლეები აქტიურად ჩავრთოთ სხვადასხვა საგაკვეთილო აქტივობების, მიზნების, წესების შემუშავებაში, რადგან როდესაც საერთო მიზნის მიღწევაში თითოეულს თავისი როლი და პასუხისმგებლობა აქვს, ეს ხელს უწყობს როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განვითარებას;

- სასურველია, პროექტების მომზადება მოხდეს გარკვეული სიხშირით, ისე, რომ არ დაირღვეს ბალანსი საკლასო ორგანიზების სხვა მოდულებს შორის, არ მოხდეს რომელიმე მათგანის დომინირება ან უგულებელყოფა.
- სასურველია, არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მასწავლებელი, არამედ კლასში შემსვლელი ყველა საგნის მასწავლებელი აქტიურად თანამშრომლობდეს და ერთობლივი ძალით ზრუნავდეს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებისთვისა და მათი ჩართულობის გაზრდაზე.

X. დასკვნა

სკოლაში ჩემ მიერ ჩატარებული პრაქტიკული კვლევის მიზანი იყო მოტივაციის შემცირების მიზეზების განსაზღვრა და მისი ამაღლების გზების დასახვა მე-9 კლასში ქიმიის გაკვეთილებზე. კვლევა მოიცავდა პრობლემის შესწავლის, ცვლილებების დაგეგმვა-განხორციელებისა და შეფასების ეტაპებს. კვლევის საფუძველზე შემიძლია დავასკვნა, რომ მოსწავლეებში მოტივაციის შემცირების მიზეზებია:

- მოსწავლეებში შექმნილი „ცრურწმენა“ ქიმიის ყოველდღიურობაში გამოუყენებლობის შესახებ;
- ასაკობრივი თავისებურებები;
- მასალის სირთულე რიგ შემთხვევებში;
- თანამშრომლობითი სწავლების პრინციპებზე დაგეგმილი აქტივობების სიმცირე;
- პროექტების ჩატარების დაბალი სიხშირე და/ან თავის არიდება პროექტებზე მუშაობის თანმდევი სირთულეების გამო;
- გამოცდილების გაზიარების ნაკლებობა მე-9 კლასის პედაგოგებს შორის.

აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად და აღმოსაფხვრელად გადაიდგა პირველი ნაბიჯები. გატარებული ინტერვენციების შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ მათი უმრავლესობა შედეგიანი იყო როგორც სამიზნე ჯგუფისთვის, ისე ჩემი კოლეგებისა და პირადად ჩემთვის. კვლევის ფარგლებში მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს და განივითარეს ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები, რამაც გაამარტივა სხვადასხვა პროექტებზე მუშაობა, მოსწავლეებში ამაღლდა ქიმიის როგორც საგნის მნიშვნელობა და შესაბამისად მათი აქტიურობა გაკვეთილის მსვლელობის პროცესში, აიმაღლეს ცნობიერება, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათ მიერ მიღებულ ცოდნას ყოველდღიური გამოწვევების გადალახვისას.

მიმაჩნია, რომ კვლევის ფარგლებში განხორციელებულ ინტერვენციებს არ უნდა ჰქონდეს ერთჯერადი ხასიათი და არ უნდა იყოს ამოწურვადი. აუცილებელია, დროთა

განმავლობაში მათი მოდიფიცირება გარკვეული სახით, განახლება და კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე კიდევ უფრო ეფექტური ცვლილებების დანერგვა სასურველი შედეგის მისაღწევად.

პრაქტიკული კვლევის ჩატარების გრაფიკი

სამოქმედო კვლევის ეტაპები	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
საკვლევი თემის შერჩევა	✓				
ლიტერატურის მიმოხილვა	✓				
ჰიპოთეზებისა და პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზების ჩამოყალიბება		✓			
კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევა		✓			
მონაცემთა შეგროვება და ანალიზი			✓		
დასკვნები და მიგნებები			✓		
ინტერვენციების დაგეგმვა/შემუშავება				✓	
ინტერვენციების განხორციელება				✓	
ინტერვენციების შეფასება					✓
სამოქმედო კვლევის ანგარიშის მომზადება					✓

ბიბლიოგრაფია

1. „მასწავლებლის წიგნი“, 2013
2. „განვითარებისა და სწავლების თეორიები“, 2008
3. თეო ჟყოიძე, „რა ფაქტორები უწყობენ ხელს სწავლის მოტივაციის ამაღლებას“, 29 ოქტომბერი 2013, (ნანახია 14.02.2019)
<https://edu.aris.ge/news/ra-faqtorebi-uwiyoben-xels-swavlis-motivaciis-amarlebas.html>
4. ირინა აბულაძე, „მოტივაცია თეორიასა და პრაქტიკაში“, 24 ივნისი 2014, (ნანახია 15.02.2019)
<http://mastsavlebeli.ge/?p=1982>
5. მაკა ჩირიკაშვილი, „კავშირები ქიმიის სწავლებასა და ყოველდღიურობას შორის საგაკვეთილო პროცესში“, 15 აგვისტო 2018, (ნანახია 16.02.2019)
<http://jes.org.ge/number/10/article/57/>
6. ნინო კაპანაძე, „მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების კელერისეული მოდელი“, 1 აპრილი 2016, (ნანახია 17.02.2019)
<http://mastsavlebeli.ge/?p=9727>
7. ქეთევან ოსიაშვილი, „როგორ ავამაღლოთ მოსწავლეთა სასწავლო მოტივაცია“, 13 აგვისტო 2013, (ნანახია 18.02.2019)
<https://edu.aris.ge/news/rogor-avamaRloT-moswavleTa-saswavlo-motivacia.html>

დანართები

დანართი 1

მოგესალმებით, ბავშვებო!

გაცნობებთ, რომ ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას მოტივაციის შემცირების მიზეზებსა და მის გაზრდასთან დაკავშირებით თქვენს კლასში. თქვენი მონაწილეობა კი აუცილებელია კვლევის წარმატებით განხორციელებისათვის.

გთხოვთ, შეავსოთ წინამდებარე კითხვარი, **გამოკითხვა ანონიმურია და არ არის საჭირო სახელისა და გვარის მითითება**. წინასწარ გიხდით მადლობას გულწრფელობისთვის და გამოკითხვაში აქტიური მონაწილეობისთვის.

1. მე ვარ:

- გოგო
- ბიჭი

2. ქიმიის საგანში მიღებული ცოდნა მე მჭირდება

- მომავალი პროფესიისთვის
- ცხოვრებაში ორიენტირებისთვის
- სამუშაოს საპოვნელად
- სხვა:.....

3. მოცემულ ათბალიან შკალაზე გთხოვთ შეაფასოთ თქვენი ქიმიის გაკვეთილში აქტიურობის დონე (1-ძალიან პასიური-10-ძალიან აქტიური)
1-2-3-4-5-6-7-8-9-10


4. გთხოვთ დაასახელოთ თქვენი აქტიურობის/პასიურობის მიზეზი

- საგნისადმი ინტერესი/უინტერესობა

- ინფორმაციის გამარტივებული სახით მოწოდება/ საგნის სირთულე
 - პრაქტიკული მეთოდის აქტიური გამოყენება/ პრაქტიკული მიდგომის უზუღვებელყოფა
 - სხვა:.....
5. რა ფაქტორია მნიშვნელოვანი თქვენი წარმატებული სწავლისთვის
- მაღალი შეფასება
 - ლექციური გაკვეთილები
 - თანამედროვე მეთოდებით ახსნილი ახალი მასალა/პრაქტიკული სამუშაოები
 - სხვა:.....
6. კლასში მუშაობის რომელ ფორმას ანიჭებთ უპირატესობას?
- ინდივიდუალური/დამოუკიდებელი მუშაობა
 - წყვილებში მუშაობა
 - ჯგუფური მუშაობა
7. დაასახელეთ ერთი ფაქტორი, რაც ფიქრობთ რომ გაზრდის როგორც თქვენს, ასევე საერთო/კლასის მოტივაციის ქიმიის გაკვეთილებზე

8. მოცემულ ათბალიან შკალაზე გთხოვთ შეაფასეთ ქიმიის საგანში მიღებულ ცოდნასა და გარესამყაროს რეალურ გამოწვევებს შორის კავშირის დონე (1-ძალიან დაბალი-10-ძალიან მაღალი)
- 1-2-3-4-5-6-7-8-9-10
9. თუ თვლით, რომ დაბალია ურთიერთკავშირის დონე, დაასახელეთ ამის მიზეზი

10. დაასახელეთ ერთი ცვლილება, რომელიც თქვენი აზრით გაზრდის ქიმიის გაკვეთილის ეფექტურობასა და მოსწავლეთა ჩართულობისა თუ ინტერესის დონეს აღნიშნული გაკვეთილის მიმართ



დანართი 2

კითხვარი მე-9 კლასში შემსვლელი მასწავლებლებისათვის

მოგესალმებით, პატივცემულო მასწავლებლებო!

გაცნობებთ, რომ ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას მოტივაციის შემცირების მიზეზებსა და მის გაზრდასთან დაკავშირებით მე-9 კლასში. თქვენი მონაწილეობა კი აუცილებელია კვლევის წარმატებით განხორციელებისათვის.

გთხოვთ, შეავსოთ წინამდებარე კითხვარი, **გამოკითხვა ანონიმურია და არ არის საჭირო სახელისა და გვარის მითითება**. მიღებული შედეგები განზოგადდება. წინასწარ გიხდით მადლობას გულწრფელობისთვის და გამოკითხვაში აქტიური მონაწილეობისთვის.

1. შეაფასეთ თქვენი მოსწავლეების ქიმიის გაკვეთილზე ჩართულობის/აქტიურობის დონე მოცემულ ათბალიან შკალაზე (1-ძალიან პასიური-10-ძალიან აქტიური)

1-2-3-4-5-6-7-8-9-10

2. თქვენი აზრით რა არის მათი აქტიურობის/პასიურობის მიზეზი?

- თანამედროვე მეთოდოლოგიის უგულვებელყოფა/გამოყენება
- ფოკუსირება თეორიის დასწავლაზე/კონცენტრირება პრაქტიკულ სამუშაოებზე

- რესურსების დეფიციტი/სრული აღჭურვა
 - სხვა:.....
3. რა ფაქტორია მნიშვნელოვანი თქვენი წარმატებული სწავლებისთვის
- მოსწავლეთა მაღალი მოტივაციის დონე
 - ქიმის საგნის შესაბამისი აღჭურვილობა/რესურსები
 - სკოლის ტერიტორიაზე არსებული ლაბორატორია
 - თანამედროვე მიდგომები და მეთოდები
 - სხვა:.....
4. თქვენი აზრით არის თუ არა მნიშვნელოვანი მოსწავლეთა მოტივაციისთვის თეორიულად დასწავლილ მასალასა და ყოველდღიურ გამოწვევებს შორის მჭიდრო კავშირის არსებობა?
- კი
 - არა
5. რატომ ფიქრობთ რომ არის/არ არის ზემოთ ხსენებული ფაქტორი მნიშვნელოვანი
-
6. კლასში მუშაობის რომელ ფორმას გამოყოფდით როგორც ყველაზე ეფექტურს და მამოტივირებელს
- დამოუკიდებელი/ინდივიდუალური მუშაობა
 - წყვილში მუშაობა
 - ჯგუფში მუშაობა
7. რატომ თვლით, რომ თქვენს მიერ მონიშნული მუშაობის ფორმა არის ყველაზე მეტად ეფექტური/მამოტივირებელი მოსწავლისათვის?

8. დაასახელეთ საგაკვეთილო პროცესში შესატანი ერთი ცვლილება, რომელიც მნიშვნელოვნად აამაღლებდა მოსწავლეთა მოტივაციას

9. თქვენი აზრით, რამდენად შეუწყობს ხელს აღნიშნული კვლევა სასწავლო პროცესის, კერძოდ, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას ქიმიის გაკვეთილებზე მე-9 კლასში?

- ხელს შეუწყობს
- ნაკლებად შეუწყობს ხელს
- არ შეუწყობს ხელს

გმადლობთ თანამშრომლობისთვის!

გისურვებთ წარმატებებს!

რეფლექსია

ჩემ მიერ 2018-2019 სასწავლო წელს სსიპ ქალაქ დედოფლისწყაროს მე-2 საჯარო სკოლაში ჩატარებული კვლევა – „მოსწავლეთა მოტივაციის შემცირების გამომწვევი მიზეზები და გაუმჯობესების გზები მე-9 კლასში ქიმიის გაკვეთილზე“ განხორციელდა აღნიშნულ კლასში მოსწავლეთა მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენის და მოტივაციის ამაღლების სხვადასხვა გზების შესახებ.

დასკვნით ეტაპზე კვლევის შედეგები გავუზიარე საბუნებისმეტყველო საგნების კათედრის წევრებსა და სკოლის დირექციას, მე-9 კლასში შემსვლელ მასწავლებლებსა და სხვა დაინტერესებულ პედაგოგებს. მათ აღნიშნეს, რომ ეს თემა მათთვისაც აქტუალურია და მსგავსი პრობლემა არსებობს თითქმის ყველა საგანში.

ჩატარებულმა კვლევამ საგრძნობლად გააუმჯობესა ჩემი პედაგოგიური პრაქტიკა, უფრო გავიზარდე როგორც მასწავლებელი-მკვლევარი, ახლოს გავიცანი მოსწავლეები, მათი თვალთ შევხედე რიგ საკითხებს და უფრო ნათლად აღვიქვი მათი საჭიროებები. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ კვლევის დროს მირებული გამოცდილება დამეხმარე მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში, რამაც ხელი შეუწყო ზოგადად საგაკვეთილო პროცესში მათი ჩართულობის გაზრდას, ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევების და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. ქიმია მათთვის ერთ-ერთი საყვარელი საგანი გახდა. გარდა ამისა, განხორციელებული ინტერვენციების შედეგებით სარგებელი მიიღეს მე-9 კლასში შემსვლელმა სხვა საგნის მასწავლებლებმა. კოლეგებმა აღნიშნეს, რომ კვლევის შედეგები მათაც მნიშვნელოვნად დაეხმარა.

ვფიქრობ, სამოქმედო კვლევის დროს მიღებული ცოდნა და გამოცდილება დამეხმარება მომავალშიც ჩავატარო კვლევა სხვადასხვა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს ჩემი და ჩემი კოლეგების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებასა და სკოლაში გაცილებით ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნას.

პრაქტიკული კვლევის ანგარიში გამოვაქვეყნე ქალაქ დედოფლისწყაროს მე-2 საჯარო სკოლის ფეისბუქ გვერდზე, დაინტერესების შემთხვევაში ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება, გაეცნოს აღნიშნული კვლევის შედეგებს.

26 მაისი, 2019 წელი